საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 ნოემბერი, 2014 წელი.

№231 (7611)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნუგზარ რუხაძე: ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით დავკარგეთ ძლიერი ლიდერი... 4

15 ნოემბერს ხალხის წინაშე აშკარად დამნაშავე, ბოროტმოქმედი ნაციონალები კიდევ ერთხელ საჯაროდ გამოიმჟღავნებენ თავს, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების კრიჭაში მდგომნი, არაკეთილისმსურველნი, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ანტიხალხური ავი ზრახვანი ამოქმედებთ!

აფხაზეთიც და სამხრეთი ოსეთიც 2008 წელს ნაციონალებმა თავადვე აღიარებინეს რუსეთს და ახლა თავიანთი ცრუ ვაიპატრიოტობით ჩვენთვის თვალებში ნაცრის შეყრას ცდილობენ!

მაგრამ ყველა პატიოსან მოქალაქეს მტკიცედ სჯერა, რომ ისინი ამჯერად ვეღარავის გააცურებენ და თავადვე დარჩებიან პირში ჩალაგამოვლებული.

პრემიერის ვიზიტი ყაზახეთში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა.

აკორდას სასახლეში შეხვედრისას მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ საქართველო ყაზახეთს მეგობარ სახელმწიფოდ და უმნიშვნელოვანეს პარტნიორად მიიჩნევს. გაფართოებული შეხვედრისას ხაზი გაესვა ორი ქვეყნის საგარეო უწყებებსა და საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნურსულთან ნაზარბაევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. საუბარი შეეხო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის საქმიანობის მნიშვნელობას, რომლის სხდომები რეგულარულად იმართება.

მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი. პრემიერმა და საქართველოს მთავრობის წევრებმა ყაზახურ მხარეს მიაწოდეს ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს.

შეხვედრას საქართველოს ვიცე-პრემიერები - ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები, გიორგი კვირიკაშვილი და კახა კალაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დაესწრნენ.

გუშინვე პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ კარიმ მასიმოვს შეხვდა. ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურების პირისპირ შეხვედრა ყაზახეთის მთავრობის სახლში გაიმართა. შეხვედრის ძირითადი თემები საქართველო-ყაზახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობების განვითარება იყო.



რამაზ საყვარელიძე: უკრაინაში მცხოვრები ბიზნესმენები ქართული მაიდნის დაფინანსებას აპირებენ?! 7

რა ღირს 15 საქართველოში?

ჟორდანიასა და ახალკაცის სამშობლოში, ვაგლახ, ვის აყეფებენ?! 14

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

უსუფაშვილმა ბარამიძე სიტყვიერ პაექრობაში დაარჩმორა

საპარლამენტო უმცირესობა პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის დღეს პოლიტიკური დებატების გამართვასაც ითხოვს. აღნიშნული საკითხი საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა – გიორგი ბარამიძემ და გიგი წერეთელმა პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დააყენეს. საპარლამენტო უმრავლესობამ ეს ინიციატივა არ გაიზიარა.

„ჩვენ ამაზე როდესაც ვმსჯელობდით თქვენ არ მობრძანდით. თქვენ არ დადიხართ. შემდეგ ბიუროს ჩავატარებთ ნაციონალური მოძრაობის ოფისში, გნებავთ და იქ მოხვალთ? ამ თემაზე პოზიციები მოსმენილია, გადაწყვეტილება ბიურომ მიიღო განსჯის შედეგად. პრეზიდენტს კონსტიტუციური უფლება აქვს,

როდესაც საჭიროდ ჩათვლის მიმართოს პარლამენტს, მიმართოს და არა ანგარიში ჩააბაროს. მოვუსმინოთ, გავიგოთ რას გვეტყვის და მერე ვაგრძელებთ ცხოვრებას“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ბარამიძე დაინტერესდა, პრეზიდენტის მიმართვის შემდეგ რატომ არის გათვალისწინებული პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა, რაზეც დავით უსუფაშვილმა უპასუხა, რომ პარლამენტმა პრეზიდენტს მადლობა უნდა გადაუხადოს.

„მადლობის სათქმელად გამოდიხართ? იქნებ ჩვენც გვინდა მადლობის გადახდა“, – განაცხადა ბარამიძემ.

დავით უსუფაშვილმა მზადყოფნა გამოთქვა, გაიზიაროს ოპოზიციის მოთხოვნა თუ ის მოთხოვს, რომ პლენარულ სესიაზე არც პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვით გამოსვლა იყოს გათვალისწინებული.

ბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პარასკევს დაგეგმილ პლენარულ სხდომაზე პრეზიდენტი პარლამენტს მიმართავს, ამავე დღეს ბიუჯეტის პროექტის განხილვა მოხდება.

ბარამიძე-უსუფაშვილის სიტყვიერი პაექრობა ბიუროს სხდომაზე ამით არ ამოწურულა. უსუფაშვილმა დეპუტატებს ერთმანეთზე საუბრისას „მიმართვის ფორმის უკეთ შერჩევისკენ“ მოუწოდა.

შესაბამისი მოწოდებით უსუფაშვილმა პარლამენტის წევრებს ბიუროს სხდომაზე მას შემდეგ მიმართა, რაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი გია ბარამიძე დაინტერესდა, „რა ხალხია“ ფრაქციაში „დამოუკიდებელი მაჟორიტარები ძლიერი რეგიონებისთვის“.

„მე მაინტერესებს, რა ხალხია ეს, ვინ არიან?“, – განაცხადა ბარამიძემ, როდესაც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ბიუროს სხდომის მონაწილეებს აღნიშნული ფრაქციის რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით დადებითი დასკვნა გააცნო.

„ძალიან გთხოვთ, რომ კოლეგებმა კოლეგების მიმართ მიმართვის ფორმა ცო-

ტა უკეთ შევარჩიოთ. ვთვლი, რომ ეს ცუდი ფორმაა. რა ხალხია ეს და ის ხალხია, რომელიც პარლამენტში მოიყვანეთ. კოლეგებს მოეპყარით კოლეგიალურად ძალიან გთხოვთ“, – მიმართა პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს.

ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისთვის“ ყოფილი ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან შეიქმნა. აღნიშნული ფრაქცია საპარლამენტო უმრავლესობაში გაწევრიანდა.

მინდა, გთხოვოთ, „ამხანაგოთი“ აღარ მომმართოთ, რადგან მე არასდროს კომპარტიის წევრი არ ვყოფილვარ, კომპარტიის წევრები თქვენსკენ მოიკითხეთ , – განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

„მინდა, დაგეთანხმოთ, რომ ჩვენ ერთმანეთს ეთიკურად უნდა მივმართოთ და მე არანაირად არ მიცდია, რომ ვინმესთვის შეურაცხყოფა მიმეყენებია. გვარების ჩამოთვლა მაინტერესებდა, ვინ არიან, რა ხალხია-თქო, ეს ვიკითხე. რადგან ამ თემაზე ბრძანეთ, ბატონო დავით, მეც მინდა, კოლეგიალურად გთხოვოთ, რომ არც ასე მომმართოთ: ამ კაცს რა უნდა და მით უმეტეს არც ისე, როგორც ბოლო სესიაზე მომმართეთ „ამხანაგ ბარამიძესო„. ისე, მინდა, გითხრათ, რომ მე არასდროს კომპარტიის წევრი არ ვყოფილვარ, კომპარტიის წევრები თქვენსკენ მოიკითხეთ“, – წონასწორობა დაკარგა მკვლელმა და არამზადა გიორგი ბარამიძემ...

ვისი ვიზიტების უზრუნველყოფა ევალებათ დიპლომატიურ წარმომადგენლობებს?

გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა ოფიციალური ვიზიტების ორგანიზებას საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ახორციელებს.

საქართველოს მთავრობამ „ოფიციალური შეხვედრების (ვიზიტების) განხორციელებისას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ახალი დადგენილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ მანამდე ეს საკითხი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით რეგულირდებოდა.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ახორციელებს პრეზიდენტის და მისი მეუღლის, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, პრემიერ-მინისტრის, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეების, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის, დაზვერვის სამსახურის უფროსისა და თბილისის მერის ოფიციალური ვიზიტების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

მთავრობის დადგენილებით კი ამ ნუსხას დაემატა: საქართველოს პრემიერ-მინისტრის მეუღლე, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეები, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში – ეკონომიკური საბჭოს მდივანი და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა უნდა განახორციელონ აღნიშნული პირების, აგრეთვე, საზღვარგარეთის ქვეყნებში მათი ხელმძღვანელობით წარგზავნილი საქართველოს ოფიციალური დელეგაციების ვიზიტების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, რაც მოიცავს დახვედრისა და გაცილების ცერემონიას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● დაიკარგა „მეგობრობის დღიური“:
საყვარელი მწერალი – ერეკლე დეისაძე
საყვარელი ვიცე–მერი – ალექსანდრე მარგიშვილი
საყვარელი მუსიკოსი – სტეფანე
საყვარელი პოლიტიკოსი – გიგი წერეთელი
საყვარელი ტელეკომპანია – „რუსთავი-2“
საყვარელი ცნობადი სახე – თინა მახარაძე
საყვარელი გადაცემა – „ნანუკას შოუ“
საყვარელი არასამთავრობოელი – ეკა გიგაური
საყვარელი ჟიურის წევრი – ქალი: ია ფარულავა. კაცი: გოჩა ჩერტკოევი
საყვარელი ჟურნალისტი – თენგიზ გოგოტიშვილი
საყვარელი შეწყალების კომისიის თავმჯდომარე – ზვიად ქორიძე
საყვარელი წინასწარმეტყველი – ლელა კაკულია
საყვარელი ომბუდსმენი – უჩა ნანუაშვილი
საყვარელი პოლიტიკური ორგანიზაცია – რესპუბლიკური პარტია

მომაწოდეთ, 15–ში რუსთაველზე, პარლამენტთან. მპოვნელი დასაჩუქრდება!

● ბერუჩაშვილი ბუტკაში შევიდა!

● საკმარისია, ნებისმიერ ქართულ არხზე, 15-20 წუთით უპატრონოდ დატოვოთ ჩართული ტელევიზორი, რომ უკან მობრუნებულს, უეჭველად თურქული სერიალი დაგხვდებათ. ეს რა ჭირი გვჭირს ტო!

● „გაუგებრობიდან“ მინისტრობამდე,
„ეკლიანი და პატარა გზაა,“
„გაუგებრობიდან“ მინისტრობამდე,
„სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?“

● ირაკლების აღმა ხნული, ირაკლებმა დაღმა ფარცხეს...

„ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

● ეს „ლგბტ თემი“ რაღა ჯანდაბაა?!

მე კი ვხვდები რაცაა, მაგრამ, ოფიციალურად ჰქვიათ „თემი“?

პირველად რომ წავაწყდი, ჟურნალისტის შეცდომა მეგონა, მაგრამ ახლა უკვე ყველა მედია-საშუალება, – „თემი, თემი“-ო, გაიძახის! ლგბტ თემური წყობილება დამყარებულა საქართველოში!

● არც ალასანიას ვიზუალი მინდა, არც სუბარის სინდისი და არც ბურჯანაძის გამბედაობა.

მომეცით საყრდენი წერტილი და მე გადავაბრუნებ დედამიწას!

● ყველა ნორმალური ადამიანი უნდა გავიდეს 15 ნოემბერს აქციაზეო, თქვა ბუბამ რ2-ზე!

საღოლ ბიძო, ამას დღემდე ფულს რომ უხდი!

● ბოლო დღეების ნიუსები:
1. ია ფარულავა ქმარს გაშორდა
2. გიორგი ყიფშიძე ცოლს შეურიგდა
3. ანჯელინა ჯოლი ოჯახს ინარჩუნებს (გადაღუნულისაგარეოვექტორის სმაილიკი)
4.ქვეყანა თავზე გვენგრევა
სტატუსი დაბალანსებულია

● კომუნისტების დროს იყო ასეთი რუბრიკა – „ვინ გვარცხვენს“...

უნდა გავაცოცხლოთ ეს რუბრიკა, მაგრამ სახელწოდებით – „უსირცხვილოები“...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ბიუჯეტი მოიგებს თუ წააგებს?

არალეგალური ბიზნესის საფრთხე

რამდენით გაძვირდება ალკოჰოლი და სიგარეტი?

იანვრიდან აქციზის გადასახადის მატების გამო, თამბაქოს და ალკოჰოლის გაძვირება გარდაუვალია. ახლა იმაზე მიდის მსჯელობა, ფასი რა დოზით მოიმატებს. ერთი კი აქედანვე ცხადია – ხარისხიანი პროდუქციის რეალიზაცია შემცირდება, რადგან ხალხი იაფფასიანი ნაწარმის მოხმარებაზე გადავა.

2015 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე, ასევე ალაოს ლუდზე, ეთილის სპირტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთი იზრდება. პირველი ივნისიდან კი ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე გადასახადის ე.წ. შერეული სისტემა შემოდის. თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი განისაზღვრება როგორც რაოდენობისა და წონის, ასევე საცალო-სარეალიზაციო ფასის მიხედვით. გარდა ამისა, იცვლება აქციზის გადასახადის წესი.

საგადასახადო ცვლილებების მიხედვით, ალაოს ლუდის, ეთილის სპირტისა და ალკოჰოლური სასმელების აქციზის განაკვეთის მოცულობა არსებულთან შედარებით ორჯერ იზრდება. რაც შეეხება თამბაქოს ნაწარმს, ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) კი აქციზის

0.15 ლარის ოდენობით მოიმატებს, უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) – 0.005 ლარის ოდენობით. გადასახადის „შერეული სისტემა“ კი ითვალისწინებს კოდექსით განსაზღვრული აქციზის განაკვეთის და ამ საქონლის საცალო-სარეალიზაციო ფასის 5%-ის ჯამს.

ერთ-ერთ უმსხვილეს თამბაქოს მწარმოებელ კომპანია „ჯი-თი-აი“ ფიქრობენ, რომ აქციზის გაძვირება არარეგალური ბიზნესის საფრთხეს წარმოშობს, თუკი პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება: „ჯერჯერობით რთულია განსაზღვრო უარყოფითი გავლენა, რაც შეიძლება აქციზის გაძვირებას მოჰყვეს. სამომავლოდ რა ტენდენციაც შეიძლება განვითარდეს, 1 იანვრიდან გამოიკვეთება. გაძვირების ეტაპობრივად გაგრძელების შემთხვევაში, საფრთხე ნამდვილად იარსებებს. აქ გასათვალისწინებელია სიგარეტის ფასი რეგიონებში. მეზობელ ქვეყნებთან შედარებით დიდი საფასო სხვაობა არალეგალური ბიზნესის საფრთხეს გააჩენს“, – აცხადებენ კომპანიაში.

გავრცელებული ინფორმაციით, 1 ლიტრ ლუდზე აქციზის ფასი, შესაძლოა, გაორმაგდეს - 40 თეთრის ნაცვლად, 80 თეთრი გახდეს. ასევე, გაძვირდება, ღვინის გარდა, ყველა სხვა სახის ალკოჰოლური სასმლის აქციზიც.

პარლამენტარი გოგი თოფაძე აღნიშნავს, რომ ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის გაძვირების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგშია შესული. გადასახადის ასეთმა მკვეთრმა მატებამ, შესაძლოა, ადგილობრივი წარმოება დააზარალოს.

„საქართველოში მსყიდველუნარიანობა ძალიან დაბალია. ეს იქნება დარტყმა ადგილობრივ წარმოებაზე. ასეთი ფასით, ბიუჯეტი კი არ მოიგებს, პირიქით, წააგებს, რადგან სასმელს მყიდველი აღარ ეყოლება. ამიტომ, ჩვენ ვიმსჯელებთ, ვიდავებთ, იქნება პაექრობა პარლამენტში. მოვითხოვთ აქციზის ფასის დაწევას იმისათვის, რომ ადგილობრივი მწარმოებელი არ დაგვეჩაგროს“, – ამბობს თოფაძე.

კომპანია „გომის“ სტრატეგიული დაგეგმარების კონსულტანტი ზაზა თაბაგარი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ „გომის“ პროდუქცია მინიმუმ იმდენით გაძვირდება, რამდენითაც მოიმატებს აქციზის ფასი. თუმცა, შესაძლოა, ფასმა კიდევ უფრო აიწიოს, რადგან აქციზი საბოლოო პროდუქტის შემადგენელი ნაწილია, ამის გამო კი, დღგ-ს გადასახადიც გაიზრდება.

„საზოგადოების მხრიდან ალკოჰოლის მოხმარების რაოდენობა იგივე დარჩება, თუმცა, ისეთი ხარისხიანი პროდუქცია, როგორსაც „გომი“ აწარმოებს, გაიყიდება უფრო ნაკლები. ალკოჰოლის მომხმარებლები შედარებით იაფიან სასმელს აირჩევენ. ნებისმიერ ქვეყანაში ასეა – ფასი მიდის ზემოთ, მაღალი ხარისხის პროდუქციის რეალიზაცია იკლებს. ხალხი დაბალი ხარისხის პროდუქციაზე გადადის იქამდე, სანამ ახალი რეალობა არ შეიქმნება“, – ამბობს ზაზა თაბაგარი.

გეძა დანელია

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

გაძლიერების ნაცვლად, სუსტი მთავრობა მივიღეთ

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.

— ბატონო ალექსანდრე, ბოლო დღეებში მმართველ კოალიციასა და მთავრობაში განვითარებულ პროცესში ჩართული ყველა მონაწილის შეფასებები მოვისმინეთ. „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე ბიძინა ივანიშვილისეული შეფასებების მიუხედავად, მაინც გაუგებარი დარჩა, რეალურად რა იყო „თავისუფალი დემოკრატების“ „ბუნტისა“ და ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარსა და მის პოლიტიკურ შედეგებს როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკისათვის?

— ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა „თავისუფალი დემოკრატების“ „ბუნტი“ და კოალიციიდან გამოსვლა. როცა მიზანმიმართული შეტევა მიდის პარტიის ლიდერზე, მინისტრსა და კოალიციის ერთ-ერთ ლიდერს თანამდებობიდან უშვებენ, როგორც ეს მოხდა, ანუ პოლიტსაბჭოს დაწყებამდე ერთი საათით ადრე, მაშინ, რა თქმა უნდა, მისი გუნდი გამოდის კოალიციიდან და ეს აბსოლუტურად გასაგებია. ნებისმიერ პოლიტოლოგს თუ პოლიტიკოსს ეს შეიძლება ეწინასწარმეტყველა, ვინაიდან, მინისტრისა და შენი თანამებრძოლის, თანაგუნდელის ასეთი ფორმით გადაყენება, როგორც წესი, არ ხდება. ხდება მისი კაბინეტში გამოძახება და იმის თქმა, რომ დაწეროს განცხადება და თავად წავიდეს.

ცნობილია, რომ ბატონმა ალასანიამ, როგორც თავდაცვის მინისტრმა, ძალიან ბევრი ტრენინგი გაიარა აშშ-ში და ითვლებოდა აშშ-ის, ნატოსა და დასავლური კურსის ურყევ მებრძოლად. დარწმუნებული ვარ, ალასანიას პოლიტიკიდან წასვლა ჩვენს საგარეო პარტნიორებს დიდად არ მოეწონებოდათ. მით უმეტეს, რომ მისი შემცვლელი არის ფუნქციონერი და არა პოლიტიკური ფიგურა. დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთ თანამდებობებზე როგორც წესი, პოლიტიკური ფიგურები ინიშნებიან ხოლმე.

რაც შეეხება შიდა პოლიტიკას. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ალასანიას თანამდებობიდან გაშვება გაკეთდა იმისთვის, რომ სამთავრობო გუნდი ერთ მუშტად შეკრულიყო. ბატონი ალასანია დიდად დამჯერი არ იყო, გახლავთ ქარიზმული ფიგურა, რომელიც ყოველთვის თავის პოლიტიკას ატარებდა და მისი შებოჭვა ძნელი ამოცანა იყო. მისი გაშვების საკითხი კარგა ხნით ადრე გადაწყდა. მაგრამ, ალასანიას გაშვების შედეგი 180 გრადუსით საპირისპირო აღმოჩნდა. ასეთი სუსტი მთავრობა არასოდეს ყოფილა. არ გამოვრიცხავ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც მომენტში აუცილებლად დადგება ამ მთავრობისადმი ნდობის ვოტუმის საკითხი.

— „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ თავისივე პარტიის ყრილობაზე ერთგვარად განავრცო პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ ნათქვამი, რომ „ქვეყანა, კულისებიდან არ უნდა იმართებოდეს“. მისი თქმით, „ყველაფერი ერთ კაცზე არ უნდა იყოს დამოკიდებული“. ივანიშვილმა საზმაუწყებელზე ვრცლად ისაუბრა განვითრებულ პროცესებზე. იგი შეეცადა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ ქვეყნის მართვაში არ მონაწილეობს. ივანიშვილმა არაერთ მართლაც მნიშვნელოვან თემაზე ისაუბრა. თქვენი დაკვირვებით, რა ძირითადი გზავნილები გააკეთა მან?

— ივანიშვილმა გააკეთა რამდენიმე მეტად საინტერესო გზავნილი. 1. მან თქვა, რომ პოლიტიკაში არ არის, არის სამოქალაქო საზოგადოების წევრი, ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველო განვითარდეს და ამისთვის გამოიყენებს ჩემთვის მოულოდნელ ტექნოლოგიას, ვგულისხმობ „საზოგადოება 2030“-ის შექმნას. მისივე თქმით, ამ საზოგადოების შექმნით იგი აპირებს ანალიტიკური საქმიანობის მკვეთრ გაუმჯობესებას. რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. მაგრამ, შეასრულებს თუ არა ეს საზოგადოება ქვეყნის განვითარებაში გადამჭრელ როლს, სხვა საკითხია.

ალასანიასთან მიმართებაში მისი გზავნილი დაახლოებით ასეთი იყო. ივანიშვილმა თქვა, რომ დიდ პატივს სცემს „თავისუფალ დემოკრატებს“, კარგია, რომ გაჩნდება კონსტრუქციული ოპოზიცია და ასეთი ტიპის ოპოზიცია ქართულ პოლიტიკას მხოლოდ წაადგება, რაც პრინციპულად განსხვავებულია ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციიდან, რომელმაც ისევ ძველი ტექნოლოგია და ფილოსოფია გამოიყენა, ვგულისხმობ იმას, რომ „ვინც ჩემთან ერთად არ არის, ჩემი მტერია„. რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის. სხვათა შორის, ღარიბაშვილის ლანძღვას ალასანიამ ძალიან კორექტულად უპასუხა. თავის თავისთვის არც ერთხელ არ უკადრებია ღარიბაშვილის მისამართით სალანძღავი სიტყვა.

— გასაგებია, რომ ე.წ. „კაბელების საქმეზე“ ძიება დასრულებული არ არის, მაგრამ მიუხედავად ყველა მხრიდან ხმაურიანი განცხადებებისა, საზოგადოებას არ მიუღია პასუხი ორ მთავარ კითხვაზე — ხელისუფლებიდან — მართლა იყო თუ არა თავდაცვის სამინისტროში კორუფცია? და ალასანიასა და მისი გუნდიდან — რა კონკრეტული საფრთხე ემუქრებოდა, ან ახლა რა ემუქრება ქვეყნის ევროპულ ორიენტაციას? საზმაუწყებელზე გამოსვლისას ივანიშვილმა თქვა, რომ ალასანია ტენდერებზე პასუხს ვერ მცემსო. ამ თემაზე გაკეთებულმა განმარტებებმა თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა?

— მეჩვენება, რომ აქ ძალიან დიდ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ბატონი ალასანია ბევრ რამეს არ ამბობს, ქვეყნის უსაფრთხოებიდან და საიდუმლოდან გამომდინარე. ვინაიდან საიდუმლო მასალებთან წვდომა არა მაქვს და შეზღუდული ვარ, შემიძლია მხოლოდ ჩემი აზრი მოგახსენოთ. საზმაუწყებელზე ივანიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გვერდზე გადიოდა კაბელები, შეიძლებოდა მათი წვერების აღება და ინტერნეტისთვის გამოყენება. თავდაცვის სისტემისთვის ასეთი ტექნოლოგიები, რაც ბიზნესისთვის ძალიან კარგია, სრულიად უვარგისია.

ძალიან ბევრმა კიბერშეტევამ დაამტკიცა და ყველა ქვეყანაში არის გათვალისწინებული, რომ სპეციალურ სამსახურებს ყოველთვის განმხოლოებული ბოჭკოვანი კაბელები აქვთ, რომლითაც ვერც ერთ სხვა ინტერნეტმომხმარებელი ვერ ისარგებლებს.

ვისაც აინტერესებს ასეთი ტიპის ტექნოლოგიები, ვურჩევდი, წაეკითხათ დენ ბრაუნის რომანი „დიგიტალური ციხესიმაგრე“, სადაც დეტალებშია აღწერილი, როგორ ხდება აშშ-ის თავდაცვის უსაფრთხოების სამსახურზე კიბერშეტევა. და მეორე, არასოდეს არ შეიძლება ასეთი კონტრაქტების ტენდერის საშუალებით განხორციელება. აქ მთავარი ფული კი არა, უსაფრთხოებაა. ვინაიდან, „სილქნეტი“ აშშ-ის საელჩოს კიბერმომსახურებას უზრუნველყოფდა, ამიტომ სწორედ „სილქნეტი“ იყო არჩეული თავდაცვის სამინისტროს პარტნიორად. ზოგადად, მარტივი თვალსაწიერიდან ასეთ საკითხებზე მსჯელობა და დასკვნების გაკეთება არასწორი იქნებოდა. თუ ამ ლოგიკას მხედველობაში არ ვიღებთ, მაშინ უნდა დავამტკიცოთ, რომ იყო ე.წ. „ოტკატები“, რომელიც ქეშის სახით ჩაუდეს ალასანიას. ის, რომ გვერდზე გადის სხვა კაბელი, სხვა ინტერნეტპროვაიდერი, ის რომ, არ იყო ტენდერი გამოცხადებული და სხვა კრიტერიუმებით მოხდა სააგენტოს შერჩევა, კითხვებს კი აჩენს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ და მათ შორის თავდაცვის სამინისტრო ვიმყოფებით აბსოლუტურად განსხვავებული უსაფრთხოების რეჟიმში. მე არ ვიცი, იყო თუ არ იყო იქ კორუფციული სქემები, მაგრამ ის, რომ პროკურატურა ჩვეულებრივი და არაპროფესიული მეთოდოლოგიით იძიებდა საქმეს, რომლითაც სიმართლის დადგენა შეუძლებელია, ჩემთვის ცხადია.

— თქვენი ინფორმაციით, რამდენად საფუძვლიანია ბატონ სოსო ცისკარიშვილის ვარაუდი, რომელმაც ალასანიას თანამდებობიდან გათავისუფლება საქართველო-გერმანიასა და საქართველო-საფრანგეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე ხელმოწერილ ხელშეკრულებებს დაუკავშირა?

— ვერ გეტყვით. ეს ბატონ სოსოს ანალიზის შედეგია. ბატონ სოსოს ძალიან კარგად ვიცნობ, წავიკითხე „ინტერპრესნიუსთან“ მისი ინტერვიუ. მის ამ მოსაზრებებზე პასუხს ნამდვილად ვერ გაგცემთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ის სნაიპერული სიზუსტე, რომლითაც პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს დაარტყა. ვგულისხმობ იმას, რომ თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნები სწორედ მაშინ დააკავეს, როცა ბატონი ალასანია საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის კაბინეტში იმყოფებოდა.

ალასანიამაც ბრძანა, რომ მას მთავრობის დასავლურ კურსში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ — არიან თუ არა პროკურატურაში სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანები, ეს უსაფრთხოების სამსახურების გამოსაძიებელია. და კიდევ, ამას სულ ვიმეორებ, ჩემი საკრალური კითხვა ისეთია, რომელიც თავის დროზე მარტინ ლუთერმა წმინდა ინკვიზიციას დაუსვა — ვინ გააკონტროლებს გამკონტროლებლებს. ის პროკურორი, რომელიც დავით კირვალიძის საქმეს იძიებდა, ახლა დაწინაურებულია. ეს მიუხედავად იმისა, რომ კირვალიძე და ყველა ისინი, ვინც იმ საქმეზე იყვნენ დაკავებულები, გამართლებული არიან. იმის თქმა მინდა, რომ არ არსებობს მექანიზმები, რომ მოითოკოს, ან კონტროლი გაეწიოს განმკონტროლებლებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს პროკურატურის საქმიანობა. ეს სისტემა რომ შესაქმნელია, სულ უფრო ცხადი ხდება.

ეს იყო პოლიტიკური მმართველობითი, სოციალური და ადამიანური ძალიან დიდი შეცდომა.

— ბატონო ალექსანდრე, ივანიშვილმა განაცხადა — „არავის ვაშინებ, მაგრამ ყველა ექსპერტის დოსიეს დავალაგებ“ და ექსპერტებს მეტი პასუხიმგებლობისაკენ მოუწოდა. რას შეიძლება ნიშნავდეს ექსპერტებზე ივანიშვილის გაღიზიანება და საუბარი, რომ „პროგრამა 2030“-ის ფარგლებში იგი ექსპერტებს მოამზადებს?

— ვერ გეტყვით, არ ვიცი. რაც შეეხება „პროგრამა 2030“-ს, ალბათ მოამზადებს ექსპერტებს იმ მსოფლმხედველობით, რომელიც ამ არასამთავრობო ორგანიზაციას ექნება. ივანიშვილი მართალს ბრძანებს, როცა ამბობს, რომ სიტყვა „ექსპერტი“ გახუნდა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვინ არის ექსპერტი. ჩემი აზრით, ექსპერტი არის ადამიანი, რომელიც მწირი ინფორმაციით აკეთებს ზუსტ დასკვნებს. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები საქართველოში ცოტანი არიან.

— კიდევ ერთი გარემოება აშკარად ითხოვს პასუხს — როდის გააცნობიერეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“, რომ ქვეყნის „საგარეო კურსი საფრთხეშია“? რომ „პოლიტიკურ პროცესებს უშიშროება არ უნდა მართავდეს“. თუ მათ ეს თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნების კორუფციაში დადანაშაულებამდე იცოდნენ, რატომ მანამდე არ განაცხადეს ამის შესახებ?

— მოდით, ეს კითხვა ორად გავყოთ — ლოზუნგი, რომ უშიშროება არ უნდა მართავდეს ქვეყანას, სწორი ლოზუნგია. მეც იგივეს ვამბობ, ოღონდ სხვა სიტყვებით — ვინ გააკონტროლებს გამკონტროლებლებს? მეჩვენება, რომ დასავლურ კურსზე აპელირება უფრო პიარსვლა იყო, რათა მომხდარიყო სიტუაციის დრამატიზაცია. ალასანიმაც ბრძანა, რომ მთავრობაში მისი თანამოაზრეები არიან, რომ მას მთავრობაში არ ეგულება ადამიანი, რომელსაც იგივე მისწრაფებები არ ჰქონდეს. ის საუბრობდა პროკურატურაზე. აქ კითხვები მართლაც არსებობს. იყო თუ არა ალასანიას წინააღმდეგ პროკურატურის ქმედებები მართული, ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს.

— დამკვირვებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ „თავისუფალი დემოკრატების“ მმართველი კოალიციიდან წამოსვლა ოპოზიციურ ფლანგზე ნაცმოძრაობის შესავიწროებლად გადადგმილი ნაბიჯი იყო, „მიზანი 100%-ით მიღწეულია“. პროცესები იმდენად სპონტანურად ვითარდებოდა, ძნელია იმის თქმა, რომ ქართულ პოლიტიკაში „ვიღაცას“ შესწევს უნარი ასეთი მრავალსვლიანი კომბინაციის განსახორციელებლად. დღეს ამ აზრს საკმაოდ ბევრი იზიარებს, მაგრამ, მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ მას რეალობასთან არანაირი კავშირი არა აქვს და მიზნად მმართველი კოალიციის მიერ დაშვებული შეცდომების გადაფარვის მცდელობად აღიქმება... ამ თემაზე თქვენ რა აზრისა ხართ?

— მეც გამოვიყენებდი იმას, რასაც თავის დროზე ფილოსოფიაში „ოკკამის სამართებელი“ ჰქვია. ოკკამი შუასაუკუნეების ფილოსოფოსი გახლდათ, რომელმაც თქვა საინტერესო რამ, რაც ძალაშია დღესაც. როცა არსებობს რაღაც მოვლენის მრავალი ახსნა, როგორც წესი, ყველაზე სწორი ყველაზე მარტივია. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ეს აბსოლუტურად სწორია.

არა მგონია, რომ კოალიციაში იყვნენ ისეთი ინტელექტუალური ძალები, რომლებსაც ასეთი გათვლების გაკეთება შეუძლიათ. მით უმეტეს, რომ შედეგი აბსოლუტურად სხვადასხვანაირი შეიძლება ყოფილიყო. ჩემი აზრით, ეს იყო ძალიან დიდი შეცდომის შედეგი. არასწორად გათვლილი შეცდომის შედეგი და ამ შეცდომის ძირითადი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ იმის ნაცვლად, მთავრობა გაძლიერებულიყო, სინამდვილეში, ისეთი სუსტი მთავრობა მივიღეთ, როგორიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ არასოდეს არ ყოფილა. ჩემი აზრით, ეს იყო პოლიტიკური მმართველობითი, სოციალური და ადამიანური ძალიან დიდი შეცდომა.

— თქვენთვის რამდენად მისაღებია მტკიცება, რომ ივანიშვილს „ქართული ოცნების“ ოპოზიციად სურს, იხილოს არა ნაცმოძრაობა და „თავისუფალი დემოკრატები“, არამედ ნინო ბურჯანაძე და ირმა ინაშვილი? და კიდევ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. რამდენად დიდია ალბათობა, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ სერიოზულ კონკურენტებად ჩამოყალიბდებიან და როგორც თავად იმედოვნებენ, შეძლებენ დიდ პოლიტიკაში ტრიუმფით დაბრუნებას?

— არა მგონია, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ დიდი პოლიტიკიდან წასულები არიან. მათ ძალიან დიდი როლი შეასრულეს კოალიციაში. როდესაც დაიწყო კოალიციიდან მათი გამოსვლა, უცებ გამოჩნდა რომ ძალიან ბევრ ქალაქში ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. მეჩვენება, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას „რესპუბლიკელებთან“ ერთად ცდილობდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც არ უნდა გაიმართოს ის, „თავისუფალი დემოკრატები“ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და რეიტინგული აქტიორები იქნებიან. მე ასე მეჩვენება. მთავარია, მათ არჩევნებამდე არ დაუშვან ტრაგიკული პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა ადამიანებს ხშირად მოსდით ხოლმე.

კობა გენდელიანი

„ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით დავკარგეთ ძლიერი ლიდერი...“

ნომრის სტუმარია ცნობილი ჟურნალისტი და საერთაშორისო მიმომხილველი ნუგზარ რუხაძე

— ბატონო ნუგზარ, თქვენ როგორც აქტიურ მოღვაწეს, რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ 15 ნოემბერს ნაციონალების მიერ დაანონსებული აქცია — რათა ქვეყნის გაერთიანებისკენ მოუწოდონ ხელისუფლებას და ეს ერთგვარ დევიზად წარმოადგინონ?

— არა, ეს დევიზი არ არის, უბრალოდ შინაარსია. თავისუფალი დემოკრატიის ქვეყანაში, იქ, სადაც ადამიანებმა, ბოლოს და ბოლოს, ამოისუნთქეს, ცხადია, ნებისმიერი გამოსვლა ნებადართულია. მსჯელობა იმაზე, აქვს თუ არა ვინმეს გამოსვლის უფლება, მორალური თუ პოლიტიკური, ან სხვაგვარი, აბსოლუტურად ზედმეტია. ადამიანთა ორგანიზებულ პოლიტიკურ ჯგუფს თუ უნდა გამოამჟღავნოს თავისი თავი, თავისი იდეები, მისწრაფებები და გეგმები საჯარო გახადოს, ისინი თავისუფალნი არიან და უნდა გააკეთონ ეს.

რაც შეეხება კომენტარს, შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. ჟურნალისტების ცნობილი გამონათქვამი: „ფაქტები არის წმინდა, ხოლო კომენტარი — თავისუფალი“, ამ მოვლენასაც ძალიან კარგად მიესადაგება.

— ყველამ კარგად იცის, რა არის ამ აქციის ქვეტექსტი, იმედია თქვენც...

— არავინ არაფერი არ იცის. ქვეტექსტი არა, მაგრამ მე ვიცი ზეტექსტი ამისა. ეს არის ის, რომ პოლიტიკურ ჯგუფს უნდა ქუჩაში გამოვიდეს და თქვას თავისი სიტყვა. მათ ამის უფლება აქვთ, როგორი პოლიტიკური წარსულიც არ უნდა ჰქონდეთ და როგორიც არ უნდა იყოს მათი გეგმები. ამის დაშლა იქნებოდა ზუსტად ის, რის წინააღმდეგაც ვიბრძოდით ამდენი ხანი.

— ხომ არ გეგმავთ აქციაში მონაწილეობას?

— არასოდეს ქუჩის მიტინგებზე არ დავდივარ ხოლმე. იმიტომ, რომ არ მცალია. ვზივარ და ჩემთვის ვმუშაობ.

— მაშინ, ის მაინც განვიხილოთ, როგორ ფიქრობთ, მართლა იცვლება თუ არა ქვეყნის საგარეო ვექტორი, რის გამოც ასეთი აჟიოტაჟი ატყდა?

— კურსის ცვლა, კურსის არცვლა ისეთი საიდუმლოებით არის მოცული, რომ არავინ არაფერი იცის. მე ამას ვინ მეტყვის — ჩვეულებრივ ადამიანს, ვიღაცამ თქვა იცვლებაო... მაგრამ არსად არ წერია ამის შესახებ კონკრეტულად, გარეგნულად კი არავის ეტყობა ცვლილება. ასეთ ინფორმაციაზე კი ჩემნაირ ადამიანს ხელი არ მიუწვდება... სანამ ამის დამტკიცება არ მოხდება რაღაც რეალური, ძალიან სერიოზული და მწვავე ფაქტებით, იმის გაცხადება, რომ კურსი იცვლება, ძნელია. რა ვიცი, იქნებ იცვლება კიდეც?! ამიტომ ამჯერად ძალიან ნეიტრალური ვარ ამ საკითხის მიმართ. შეიცვლება თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს...

— რომ შეიცვალოს? ამ შემთხვევაში თქვენ რა საფრთხეებს ხედავთ?

— ეს უკვე ძალიან საინტერესო შეკითხვაა. მოდით, ჯერ ის ვთქვათ, რომელია საქართველოსთვის მისაღები და ოპტიმალური კურსი? — ეს თემა დღემდე გაურკვეველია ფილოსოფოსებისთვის, პოლიტოლოგებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის. ჩვენ არჩევანის წინაშე ვდგავართ: რა სჯობს, დასავლეთი, რუსეთი თუ რაღაც მესამე... ჩემი აზრით, არც ერთი ჯობია და არც მეორე, თუ ის მკვეთრად არის გამოხატული. ჩვენს ქვეყანას არავისთან ჩხუბის თავი არ აქვს. კონფლიქტები არ შეუძლია, არც ფიზიკურად, არც მორალურად და არც რესურსებით. ამიტომ მთელი პოლიტიკა უნდა იყოს იქითკენ მიმართული, რომ ყველასთან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა. თუ საქართველო ერთ რომელიმე მკვეთრ კურსს აიღებს და მეორისკენ არ გაიხედავს, ჩემი აზრით, ეროვნული გამარჯვების მიღწევა გაუჭირდება. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ გლობალური ვითარება, რეგიონში მოთამაშე ყველა სახელმწიფოს ინტერესი და აქედან გამომდინარე განვსაზღვროთ გენერალური პოლიტიკა, რომლებიც მომავალზეა მიმართული.

— ახალ საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილს ხომ არ იცნობთ?

— არ ვიცნობ, არასოდეს შევხვედრივარ... შეფასება არ შემიძლია. თუ მთავრობა მას ენდო და ჩააბარა ეს მიმართულება, რატომაც არა? მაგრამ, იცით რა... არა მგონია, საქართველოში რომელიმე სამსახურს შეიძლება სჭირდებოდეს გამოკვეთილი ლიდერი. საჭიროა, დარგის სათავეში იყოს ერთი ნორმალურად, თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც აქვს ალღო და გარკვეულია საერთაშორისო ურთიერთობებში. იმ დახმარებით კი, რაც მას ექნება მთავრობიდან და იმ ადამიანური რესურსისგან, რომელსაც საქმეს აკეთებინებს, არა მგონია, დიდი შეცდომები დაუშვას. ალბათ, თამარ ბერუჩაშვილი ისევე გაგრძელებს მუშაობას და ისეთივე იქნება საერთაშორისო ასპარეზზე, როგორიც იყო მისი წინამორბედი.

ისე კი, ღიმილს მგვრის ის ამბავი, რომ მან ფანჯიკიძესთან ერთად დემონსტრაციულად დატოვა თანამდებობა, მაგრამ მერე მოირგო ეს სავარძელი და მინისტრი გახდა.

— იცით, ამ ამბავმა გამახსენა ივანიშვილის კომენტარი ღარიბაშვილის პოლიტიკურ უმწიფრობასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ როგორც საზოგადოებას, ისე ზოგადად პოლიტიკურ სპექტრსაც აქვს სიმწიფის ნაკლებობა?

— ახლა ისეთი რაღაც მკითხეთ, რომელსაც ალბათ, ფილოსოფოსთა და გენიოსთა დაწერილი ტომები უნდა მიეძღვნას. ჩემი აზრით, საქართველოს ეროვნული პოლიტიკა უკანასკნელ ათწლეულებში შეცდომათა ჯაჭვით ხასიათდება. ცხადია, პოლიტიკური კულტურა მოიკოჭლებს, თუნდაც იმიტომ, რომ ახალი დემოკრატიის ქვეყანა ვართ. 25 წელიწადია, თავისუფლება მოვიპოვეთ, მაგრამ ასე უცებ მაღალ სტანდარტებს ნუ მოვითხოვთ.

— ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით პროტესტის გრძნობა არ გაგჩენიათ?

— ნამდვილად არ გამჩენია. ერთ-ერთ ჩემს სტატიაში, რომელსაც მალე იხილავს მკითხველი, ასეთი რამე დავწერე: ის, რაც მოხდა (ვიგულისხმე პოლიტიკური გადადგომები) ნიშანია იმისა, რომ დემოკრატიული პროცესი საქართველოში ცოცხალია.

მინისტრები გადადგნენ, მაგრამ ამით ქვეყანა არ იქცევა. რადგან მათ პოლიტიკური პრინციპების გამო გადადგეს ეს ნაბიჯი, ეს პოლიტიკურ თავისუფლებაზე მიუთითებს. ეს არის ნიშანი დემოკრატიული მწიფობისა.

ის გადამდგარი ადამიანები ჩვენი ქვეყნის შვილები არიან, ჭკვიანები და გამოცდილები, რომელთაც სარგებლის მოტანა შეეძლოთ და ახლაც შეუძლიათ. მე ვერავისში მოღალატეს ვერ ვხედავ.

— აი, ბიძინა ივანიშვილში ვის ხედავთ, ბატონო ნუგზარ. ვინ არის ის თქვენი გადასახედიდან?

— ივანიშვილი რომ დიდი ქველმოქმედია, ამაში ეჭვს ნუ შევიტანთ, და ღმერთმა არ გაუფუჭოს ქველმოქმედების მადა.

რაც შეეხება პოლიტიკოსს — ფილოსოფიაში ცნობილია „მიამიტი მატერიალიზმი“, როდესაც მას ვუსმენ, ვგრძნობ, რომ გულწრფელია. მაგრამ, ამავე დროს, როცა საუბრობს, გინდა, მიეხმარო, რაღაც დაამატო, ფიქრობ, ვაითუ შეცდომა დაუშვას, ნეტა, არ შეეშალოს...

— ივანიშვილი რომ დიდი ქველმოქმედია, ამაში ეჭვს ნუ შევიტანთ, და ღმერთმა არ გაუფუჭოს ქველმოქმედების მადა.

რაც შეეხება პოლიტიკოსს — ფილოსოფიაში ცნობილია „მიამიტი მატერიალიზმი“, როდესაც მას ვუსმენ, ვგრძნობ, რომ გულწრფელია. მაგრამ, ამავე დროს, როცა საუბრობს, გინდა, მიეხმარო, რაღაც დაამატო, ფიქრობ, ვაითუ შეცდომა დაუშვას, ნეტა, არ შეეშალოს...

მიმაჩნია, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით, საქართველომ დაკარგა უფრო ძლიერი ლიდერი, ვიდრე მერე მოვიდნენ, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ის ისევ დაბრუნდეს...

მიმაჩნია, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით, საქართველომ დაკარგა უფრო ძლიერი ლიდერი, ვიდრე მერე მოვიდნენ. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ის ისევ დაბრუნდეს...

— ბატონო ნუგზარ, როგორ მოგწონთ ურთიერთობა პრესასთან? თქვენ, როგორც გამოცდილი, ჟურნალისტი ამას უფრო ობიექტურად შეაფასებთ...

— მსოფლიოში არიან ლიდერები, რომლებიც ისე მანიპულირებენ პრესასთან, რომ, შეიძლება არც იმსახურებდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მომგებიან ვითარებაში აღმოჩნდებიან ხოლმე. მიმაჩნია, რომ მედიასთან კეთილგონივრული, განსაზღვრული, მეცნიერულად აწონილ-დაწონილი ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია. მედიასთან ხუმრობა არ შეიძლება, მით უმეტეს, ნერვული განწყობა, რადგან დემოკრატიის პირობებში მედიას ისე შეუძლია ჩვენი ცხოვრების გაკონტროლება, რომ ვერავინ ვერაფერს ეტყვის. მედიის „ქალბატონები და ბატონები“ ეს ის ხალხია, რომელსაც ჟამთააღმწერლის პოზიცია უკავიათ (პროფესიონალიზმის მიუხედავად). მედიასთან ბრძოლა ძალიან ძნელია, ამიტომ მე ვურჩევდი ჩვენს მთავრობას, რომ ერთგვარი კორექცია შეიტანონ მედიასთან ურთიერთობაში. ეს კორექცია დამთავრდება აუცილებლად სიკეთით.

— ეს როგორ მოხერხდება?

— ძალიან კარგად უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რასთან აქვთ საქმე მედიის სახით. დავუშვათ, ტყუის ჟურნალისტი, ფაქტებს ამახინჯებს, ამას უნდა ბრძნული გამკლავება. მედიასთან ურთიერთობაში საჭიროა კეთილგანწყობა, თავშეკავება, საკითხის ღრმად ცოდნა და კონცენტრაცია ისეთ პრინციპულ საკითხებზე, რაც ქვეყნის ბედს წყვეტს, და არა წვრილმანებზე. ამ უკანასკნელზე გამოკიდება არც ღირს... ყველა სიტყვა უნდა იყოს ათასჯერ გაზომილი და არ უნდა მიეცეს საშუალება ჟურნალისტს, რაიმე თითზე დაიხვიოს.

— ივანიშვილი ექსპერტების მიმართაც კრიტიკულია....

— აი, ექსპერტების მიმართ კრიტიკულობა არ მაწუხებს... ჩემი აზრით, ექსპერტი და მმართველი მუდმივი კამათის რეჟიმში უნდა იყვნენ, რათა ქვეყნისთვის სასარგებლოდ ჭეშმარიტება წარმოიშვას.

და საერთოდაც, უნდა დამთავრდეს ქვეყანაში წყენების, გაბუტვის, ლანძღვის დრო, ჩვენ ამისთვის არ გვცალია... შედეგი ხტუნაობით და ჭყიპინით არ მოდის!

— როცა უცხოელი ელჩები დიდაქტიკოსებად გვევლინებიან ხოლმე, ეს ბევრს არ მოსწონს. ჩნდება განცდა, რომ უცხოელები გადაჭარბებულ რჩევებს გვაძლევენ, ხანდახან საკმაოდ ტენდენციურს... საინტერესოა, თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი...

— უცხოელი ელჩი არის თავისი ქვეყნის ლიდერის წარმომადგენელი. ის არის „ენა“, რომელიც ამა თუ იმ საკითხს ახმიანებს. ის თავის საქმეს ემსახურება... ჩვენი საქმე რა არის? — ყველა ამ რჩევას ყური დავუგდოთ და გვეყოს უნარი, გავაანალიზოთ მათი საუბარი. ამიტომ ელჩების კომენტარების „მონები“ სულაც არ უნდა ვიყოთ, არამედ უნდა გვქონდეს მოქმედების სტრატეგია და ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ.

— ბატონო ნუგზარ, მინდა, ბოლო კითხვა დაგისვათ განათლებაზე, სფეროზე, რომელშიც აქტიურად ხართ ჩართული და მოღვაწეობთ. რა პრობლემებს აწყდებით და რა პერსპექტივას გისახავთ მომავალი?

— სხვადასხვა უნივერსიტეტში ვასწავლი რამდენიმე საგანს, ამდენად, ჟურნალისტიკასთან ერთად ჩემთვის ეს სფეროც ნაცნობია. მინდა, შევუთვალო მათ, რომლებიც მართავენ განათლებას: კარგია მხოლოდ ისეთი განათლება, რომელსაც შეუძლია ამ განათლების მიმღებისათვის კეთილდღეობის მოტანა. თუ ამ პრინციპს განათლება არ ემორჩილება, ე. ი. არ ვარგა. იმ განათლების შედეგია კარგი, რომელიც „მარკეტში გაიყიდება“. იციან, ეს ასე რომ არის, მინდა ვკითხო? თუ იციან, მაშინ, ადგნენ და ყველა რეფორმა ამ პრინციპს დაუმორჩილონ! სწავლებას, განათლებას უნდა მისცენ პრაგმატული დატვირთვა. ადამიანმა, რომელსაც ასწავლი, მიღებული განათლების შედეგად უკეთესად უნდა იცხოვროს. განათლების მიზნობრიობა ბუნდოვანია საქართველოში. ქვეყნის ლიდერები უპირველესად ამაზე უნდა ფიქრობდნენ.

არადა, განათლების სისტემაში მიდგომები უამრავჯერ შეიცვალა, რომელმაც არც თუ კარგი გავლენა იქონია ახალგაზრდებზე. საერთოდ, რას გეტყვით იცით, მაშინ, როცა ჩვენ თითქოს თანამედროვე განათლების სტანდარტებზე ვდგებით, ამ დროს აბსურდების კორიანტელში ვხვდებით. თუნდაც შეფასების სისტემა. ადრე იყო 1-5-ბალიანი, ახლა გახდა 1-10-ბალიანი. და რა შეიცვალა ამით? რით არის უკეთესი? ან რა კეთილდღეობა განიცადა ამით ქართველმა ხალხმა? ეს ერთი დეტალია და ასეთი დეტალი უამრავია. მე კონსერვატორი კი არა ვარ, ძალიან თანამედროვე და ყოველგვარი კეთილი ცვლილებების მომხრე ვარ. მაგრამ ცვლილებებზე, რომელსაც არაფერი მოაქვს, არც ფულს და არც დროს არ დავხარჯავ.

— ე. ი. როცა განათლებაში არის უამრავი პრობლემა, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ მოწოდების სიმაღლეზე არ დგას საზოგადოება?

— შეხედეთ, თბილისში როგორ იქცევიან მანქანის მძღოლები და ნახავთ, როგორი „მოძალადეა“ საზოგადოება. ეს თითქოს უმნიშვნელო მაგალითი არის სიმპტომი იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ძალიან დააგვიანებს. ამას თაობები დასჭირდება.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ წარმოჩნდა ქართული კულტურის მემკვიდრეობა

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში თბილისში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზურაბ წერეთლის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კავკასიის სიძველეები მსოფლიოს მუზეუმებში“.

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა გზითა და მიზეზით ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების კულტურის ძეგლები უცხოეთში გაედინებოდა. არაერთი ძვირფასი რელიკვია უკვალოდ დაიკარგა. მაგრამ, საბედნიეროდ, მათმა დიდმა ნაწილმა მუზეუმებში, არქივებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა სიძველეთსაცავებში ჰპოვა თავშესაფარი, რითაც ის იმთავითვე ხელმისაწვდომი გახდა კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებული მოწინავე ქვეყნების სამეცნიერო წრეებისთვის. სწორედ მათმა გამოკვლევებმა შეასრულეს ერთგვარი მეგზურის როლი იმაში, რომ შემდგომში ეს საგანძური საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებში აღორძინებული მეცნიერების სამსახურში ჩამდგარიყო, რითაც შორს გახიზნული საუნჯე, გარკვეული ფორმით, დაუბრუნდა თავისსავე შემქმნელებს. ამ მიმართულებით კოლოსალური შრომაა გაწეული როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ, მაგრამ საკვლევი და გამოსავლენი ჯერ კიდევ ბევრია. ეს საერთაშორისო კონფერენციაც ამის ნათელი დადასტურებაა. შთამბეჭდავია კონფერენციის წარმომადგენლობითი ხასიათი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბერლინის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, როსტოვის, გროზნოს, სოჭის, ერევნის, ბაქოს, თბილისის საყოველთაოდ ცნობილი მუზეუმებისა და სიძველეთსაცავების ხელმძღვანელები და წამყვანი მეცნიერი თანამშრომლები.

კონფერენციის მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა მოწვეული სტუმრების შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარესთან ილია II-სთან.

სხდომები გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. კონფერენცია გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე–პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვ. პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. კვესიტაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თ. სანიკიძე, საქართველოს სასულიერო აკადემიის რექტორი მამა გიორგი ზვიადაძე.

მთავარი პათოსი, რაც კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებს აერთიანებდა, საზღვარგარეთის სამუზეუმო საცავებში დაუნჯებული კავკასიური, უპირატესად, ქართული სიძველეების მეცნიერული ღირებულების წარმოჩენა, მათ შესწავლაში დღეისათვის არსებული მდგომარეობის შეფასება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი მიზანდასახულობის სამეცნიერო ფორუმი პირველად შედგა და ამ პირველმავე შეხვედრამ თვალნათლივ აჩვენა მისი გაგრძელების მიზანშეწონილობა.

სრულიად გასაგები მიზეზების გამო, საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების უდიდესი ნაწილი რუსეთის მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში ინახება. ამ და სხვა მოვლენების საგარეოპოლიტიკური საფუძვლების განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს რ. მეტრეველის მოხსენება, რომელმაც საერთო ფონი შეუქმნა კონფერენციაზე განსახილველ თემატიკას. რუსეთში დაცული ქართული და კავკასიური არტეფაქტების განხილვას შეეხებოდა აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გენერალური დირექტორის, პროფ. ა. სედოვის (მოსკოვი), მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის სექტორის გამგის, პროფ. ა. მოშინსკის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გ. ლორთქიფანიძის (თბილისი), რუსული სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს ვ. გუსევის (სანკტ-პეტერბურგი), რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის პროფ. ვ. დმიტრიევის (სანკტ-პეტერბურგი), ჩეჩნეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის აკადემიკოს კ. იბრაჰიმოვის (გროზნო), პროფ. ა. ჩერკასოვის (სოჭი) მოხსენებები.

დიდი ინტერესით მიიღო მსმენელმა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების კურატორის, პროფ. მ. ნავროტის მოხსენება ბერლინის მუზეუმებში დაცული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ.

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ფონდის ახალი კოლექციების კავკასიური (ქართული, ალბანური, სომხური) ხელნაწერების მნიშვნელობა, მათი შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები იყო განხილული აკადემიკოს ზ. ალექსიძის (თბილისი) მოხსენებაში. საზღვარგარეთის (იერუსალიმის, ათონის, სინას, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის და ა.შ.) სიძველეთა საცავებში წარმოდგენილი ქართულ ხელნაწერთა კოლექციები მიმოიხილა პროფ. დ. ჩიტუნაშვილმა (თბილისი).

იშხნის ტაძრის ახალაღმოჩენილი საქტიტორო რელიეფის ატრიბუციას ეხებოდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის, პროფ. ბ. კუდავას და პროფ. გ. საითიძის ერთობლივი მოხსენება.

კონფერენციაზე ყურადღება მიექცა საქართველოსა და კავკასიაში სამუზეუმო საქმის ისტორიის, ხელნაწერული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხებსაც, რაზედაც მოხსენებით წარდგნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ლორთქიფანიძე (თბილისი), სომხეთის ხელნაწერთა ინსტიტუტის – მატენადარანის დირექტორის მოადგილე ა. ხზმალიანი (ერევანი).

კონფერენციაზე გაჟღერდა თემატურად განსხვავებული, მაგრამ უაღრესად საყურადღებო საკითხი, რომელიც ეხებოდა ქართული დიასპორის ისტორიას დონის მხარეში, რომელიც წარმოაჩინა დონის როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფ. ე. ნესმეიანოვმა.

კონფერენციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოხსენებები გამოქვეყნდება კრებულის სახით, ხოლო ამავე პრობლემაზე სამეცნიერო ფორუმების გამართვა ტრადიციად იქცევა.

კონფერენციის თემატიკას ეხმიანებოდა მონაწილეებისათვის შეთავაზებული კულტურული პროგრამაც, რომლის ფარგლებში ისინი ინტერესით გაეცნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციებს, ეწვივნენ ზურაბ წერეთლის მემორიალურ კომპლექსს „საქართველოს მატიანე“, მცხეთას, უფლისციხესა და ი. სტალინის სახლ-მუზეუმს გორში.

თვალსაჩინოა კონფერენციის შედეგები – გადაიდგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საზღვარგარეთ დაცული ქართული და კავკასიური სიძველეების კვლევის გაღრმავების მიმართულებით, რაც, უდაოდ, ხელს შეუწყობს ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის კიდევ უფრო ფართოდ გამოყენებას საქართველოს ისტორიის სამსახურში. აღნიშნული ფორუმი, როგორც ქვეყნის საზღვრებს მიღმა დაუნჯებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის აქცია, წარმატებით შედგა.

გონელი არახამია,
პროფესორი.

◎ რეკორდული უნამუსობა

50-თეთრიანი სხვაობა საწვავის სატენდერო და საცალო ფასებს შორის!

„ევრო დიზელი 1 ლიტრი – 1,66 ლარი, პრემიუმი – 1,66 ლარი, სუპერი – 1,80 ლარი, დიზელი –1.60 ლარი... სახელმწიფო ნოემბრის თვეში აი, ამ ფასებში ყიდულობს საწვავს, ჩვენთვის კი 50 თეთრით ძვირად ყიდიან! 50-თეთრიანი სხვაობა სატენდერო და საცალო ფასს შორის არის რეკორდული მაჩვენებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში! სხვაგან, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მსგავს რამეს!!!“ – ეს ინფორმაცია სათაურით – „აი, როგორ გვძარცვავენ! 50-თეთრიანი რეკორდული სხვაობა“, რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გავრცელდა და „სტატუსის“ ავტორმა, ინფორმაციის გასამყარებლად, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ლინკიც მიუთითა.

„50-თეთრიანი სხვაობა სატენდერო და საცალო ფასს შორის არის რეკორდული მაჩვენებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში!“

თემას სოციალურ ქსელში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ინტერნეტმომხმარებლები პროტესტის ნიშნად უკვე აქციებსაც აანონსებენ. როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა კემულარია ამბობს, მომხმარებლის უფლებებზე ახლადშექმნილი უწყება, „კონკურენციის სააგენტო“ უნდა ზრუნავდეს, თუმცა, მისი განცხადებით, სააგენტო უუნაროა და ეს ყოველივე იმის ეჭვს ბადებს, რომ საქმე ელიტურ კორუფციასთან გვაქვს. „კონკურენციის სააგენტოს“ მიზნებში ხაზგასმულია, რომ უწყებამ საქართველოს ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა უნდა უზრუნველყოს, თუმცა, კემულარიას განცხადებით, უწყებას შექმნის დღიდან დღემდე არაფერი გაუკეთებია.

ბექა კემულარია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი: „კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ყველა აკრედიტებული ორგანო და სახელმწიფო უწყება ერთდროულად აცხადებს, რა რაოდენობის საწვავი სჭირდებათ მათ და ყიდულობენ. ტენდერში იმარჯვებს ის კომპანია, ვინც ყველაზე დაბალ ფასს შესთავაზებს. ფასის კორექტირება დამოკიდებულია ვალუტის კურსზე და საწვავის საერთაშორისო ფასზე. როგორც მოგეხსენებათ, ივნისიდან მოყოლებული, ნავთობისა და საწვავის საერთაშორისო ფასი მცირდებოდა. ეს აისახა ტენდერზეც და საწვავის ფასზეც. ფაქტია, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში სახელმწიფომ კომპანიებისგან პრემიუმის მარკის საწვავი, 1 ლიტრი 1,66 ლარად შეიძინა. ტენდერში, პრემიუმის საწვავის მიწოდებაზე, კომპანია „ლუკოილმა“ გაიმარჯვა. თუ „ლუკოილის“ ავტოგასამართ სადგურებზე ვნახავთ ამავე მარკის საწვავის სარეალიზაციო ფასს, 50 თეთრით უფრო ძვირი – 2,16 ლარი ღირს. ასეთ ფასთა სხვაობას მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ! წარმოიდგინეთ, რა დონის უნამუსობაა და მადა რა დონეზე აქვთ გაზრდილი კომპანიებს, რომ 50-თეთრიანი სხვაობით ყიდიან საწვავს! ეს არის შეთანხმებული და დაწესებული ფასები!

2014 წლის მარტში შევიდა საკმაოდ კარგი ცვლილებები კონკურენციის შესახებ კანონში. რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა „კონკურენციის სააგენტო“, მაგრამ დღემდე არ გამოსულან, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ და ამ ყველაფერზე მოკვლევაც არ დაწყებულა. როგორც ჩანს, შეიქმნა ბიუჯეტის მჭამელთა რაღაც ჯგუფი. საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ საქმე გვაქვს ელიტურ კორუფციასთან. „კონკურენციის სააგენტო“ კანონით არის ვალდებული, რომ შეთანხმებულ ფასებზე რეაგირება მოახდინოს და დაიცვას მომხმარებელი! ამ ყველაფრის მიუხედავად, რომ რეაგირებას არ ახდენს, რა უნდა ვიფიქროთ? თავისთავად, ლოგიკურად ჩნდება იმის ეჭვი, რომ საქმე გვაქვს ელიტურ კორუფციასთან“.

კომენტარისთვის „კონკურენციის სააგენტოსთან“ დაკავშირება ვცადეთ, თუმცა, უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე, ორდღიანი მცდელობის მიუხედავად, დაკავშირება ვერ შევძელით.

თორნიკე ყაჯრიშვილი

◎ ალიანჩალიანი

ზუგდიდში მთავარი ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

2 კმ-იანი რეაბილიტირებული გზა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა მოინახულა. მინისტრი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს გაეცნო. „ხუბულავას ქუჩა ზუგდიდში ყველაზე დიდი – 2-კილომეტრიანი ქუჩაა. ქუჩაზე გზის საფართან ერთად, გაკეთდა სანიაღვრე სისტემები. ამორტიზებული საგზაო ინფრასტრუქტურის გამო, ზუგდიდის მოსახლეობას ხუბულავას ქუჩით გადაადგილება პრობლემას წლების განმავლობაში უქმნიდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივები უსაფრთხო და კომფორტული გზით სარგებლობენ. აღნიშნული გზა ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ანაკლიასთან, განმუხურთან და კიდევ 5 სოფელთან აკავშირებს. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მსოფლიო ბანკისა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა“, – აცხადებენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. პროექტის საერთო ღირებულებამ 4 მილიონი ლარი შეადგინა.**

ინტერპრესი

◎ ვაი ასეთსა ცხოვრებას!..

შავი „ვოლგების“ ქვეყნიდან - ავტომობილების სასაფლაომდე?

არასამთავრობოთა ინფორმაციით, საქართველოში მოძრავი ავტომობილების რაოდენობა უკვე მილიონს აღწევს

თბილისის ქუჩებში უცხოური ავტომობილების სიმრავლე დიდი ხანია, არავის უკვირს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სწორედ უცხოური მარკის ავტომობილებია: „მერსედესი“, „ოპელი“, „ფორდი“, „ფოლკსვაგენი“, „ჰონდა“, „ნისანი“ — ეს იმ მანქანების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, თუმცა, ეს ძირითადად მეორადი, მოძველებული ავტომანქანებია, რომლებიც გარედან მტერს უბრმავებენ თვალს, ხოლო შიგნით — მოყვარეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი 2002 წლამდეა წარმოებული, უფრო მეტიც, ჩვენს ავტოპარკში 11-დან 20 წლამდე და უფრო მეტი ხნის ავტომობილების აშკარა სიჭარბეა. ამ მხრივ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას ძალზე მწვავედ აფასებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ექსპერტი შალვა ოგბაიძე.

— „საბჭოთა კავშირის დროს საქართველო შავი „ვოლგების“ ქვეყანა იყო. მაშინ სწორედ შავი „ვოლგა“ იყო ადამიანის სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი. დღეს კი რა ხდება? — ადამიანი ყიდულობს BMW X5-ს, ამ უიშვიათეს ქმნილებას და მერე გადაჰყავს გაზზე, რომ ფულის ეკონომია გააკეთოს, ან ყიდულობენ „პორშე კაენ“-ს, რომელიც არის მანქანა-შედევრი და გადაჰყავთ გაზზე, რითაც დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს ეკოსისტემას. მოკლედ, არც მოქალაქეები ვაკლებთ ხელს, მაგრამ ამ სფეროში არც სახელმწიფო პოლიტიკა უქნია ღმერთს, უფრო სწორად, არავითარი პოლიტიკა არ გვაქვს, განსაკუთრებით, ავტოპარკის გასაახლებლად. ამიტომ საქართველო თანდათან ემსგავსება დიდ ელიავას ბაზრობას, ან ავტომობილების სასაფლაოს, სადაც უცხოეთიდან შემოსულ ძველ ავტომობილებს ასაღებენ.“

ამ სფეროში არსებულ პრობლემებს დეტალურად სწავლობს არასამთავრობოთა ორგანიზაცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“. როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ვასო ურუშაძემ** გვითხრა, საქართველოში 2013 წლის ბოლოს 900 ათასი ავტომანქანა იყო, მაგრამ ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მოძრავი ავტომობილების რაოდენობა მილიონს აღწევს და მათი უმრავლესობა მოძველებული, ექსპლუატაციიდან გამოსული მანქანებია.

— „მე ხელთა მაქვს 2013 წლის ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ჩვენი ავტოპარკის 57 პროცენტს 20 წელს გადაშორებული მანქანები შეადგენენ, 17 პროცენტს — 15 წელს გადაშორებული, 11 პროცენტი — 10-დან 15 წლამდე ასაკის მანქანებია და მხოლოდ 3 პროცენტია 5 წლამდე ასაკისა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველდღიურად ხუთიდან ათამდე ავტომობილის განბაჟება ხდება და ჩვენს ავტოპარკს ეს რაოდენობაც ემატება, ნათელი ხდება, რომ ავტომობილების რაოდენობა საქართველოში ზრდას განაგრძობს“.

იმას, რომ საქართველო მსხვილი რეექსპორტიორი ქვეყანა გახდა და საექსპორტო ათეულში მეორად ავტომანქანებს პირველი ადგილი უკავია, ურუშაძე გამარტივებული პროცედურებით ხსნის: **„მოიხსნა გადასახადი ავტომობილების იმპორტზე, სხვადასხვა პროცედურის გამარტივებამ გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში, რომელიც ავტომანქანებს არ აწარმოებს, მათმა ექსპორტმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოში განვითარდა ავტობიზნესი და ამ ბიზნესში 20 ათასამდე ადამიანი დასაქმდა. მათ ავტომანქანები შემოჰყავდათ ევროპის ქვეყნებიდან და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჰყიდდნენ. მთავარი საექსპორტო ბაზარი ჩვენთვის ყაზახეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი იყო. ყაზახეთი 2011 წელს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდა და საბაჟო პროცედურების გამკაცრების გამო რუსულ ბაზარზე გადავიდა, აზერბაიჯანმა 2014 წლის 1 აპრილიდან 2005 წელზე ადრე წარმოებული ავტომობილების იმპორტი აკრძალა და დარჩა მხოლოდ სომხეთი, რომელსაც ამ ბაზარზე ისე-დაც მცირე წილი ეკავა — დაახლოებით 5 პროცენტი. ამან რა გამოიწვია? — ადრე ავტოდილერი ყიდდა თავის ძველ ავტომობილს და ყიდულობდა შედარებით ახალს, ანუ ჩვენი ავტოპარკის განახლება რეექსპორტის ხარჯზე ხდებოდა, ძველი ავტომობილები კი აზერბაიჯანსა და სომხეთში გადიოდა. ახლა უკვე 2005 წელზე ადრე წარმოებული ავტომანქანები ვეღარსად გადის და საქართველოში რჩება. სამწუხაროდ, ძველი ავტომობილები ქართულ ბაზარზე გაიყინა, რამაც ფასების არნახული ვარდნა გამოიწვია. ამას დაერთო ისიც, რომ ბანკები აქტიურად მუშაობენ საავტომობილო განვადებებზე და მოსახლეობას მანქანის შეძენას უმარტივებენ. ამიტომ, ავტომობილის მყიდველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ხალხმა მასობრივად დაიწყო ავტომობილების შეძენა იმიტომ, რომ ეს ძალიან იაფი და ხელმისაწვდომი გახდა, რამაც ავტომობილების რაოდენობის მასობრივი ზრდა გამოიწვია“.**

ურუშაძის თქმით, **„ავტომობილი ნებისმიერ ქვეყანაში ძალიან ძვირი სიამოვნებაა, მასზე დაწესებულია ტექდათვალიერების გადასახადი, ხოლო, თუ ეკოლოგიურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, ასეთი მანქანის პატრონი ქუჩაშიც ვერ გავა — ერთი სიტყვით, მისი შეძენაც ძვირი ჯდება და შენახვაც. ჩვენთან კი, ავტომობილების რაოდენობა ქაოტურად იზრდება და ხელისუფლება ვერანაირ რეგულაციას ვერ აწესებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. თუ სახელმწიფომ ვერ შეძლო, რომ ავტომობილების რაოდენობა ქალაქების განვითარების ტემპის შესატყვისი იყოს, ჩვენი ქუჩები მთლიანად გაიჭედება და მოძრაობა შეუძლებელი გახდება, რასაც თბილისის ქუჩებში უკვე ხშირად ვაწყდებით. გაუთვალისწინებელი საცობების გამო ადამიანები აგვიანებენ, ნორმალურად ვერ მოძრაობს სასწრაფო და სამაშველო სამსახური, ფერხდება დისტრიბუციის სერვისი, რომელიც პურითა და საკვებით ამარაგებს მაღაზიებს და ა.შ... ამიტომ, ყველა ქვეყანაში არსებობს რეგულაციები, რომლებიც მოძრაობას აწესრიგებს, ჩვენთან კი ასეთი რამ არ ხდება. არანაკლებ სერიოზული პრობლემაა ტაქსების სიმრავლე: თუ შეუიარაღებელი თვალით გადავხედავთ, ტაქსების უმეტესობა 20 წელს არის გადაცილებული, ადამიანს სჭირდება ავტომობილი და იაფი ტაქსის ნიშანი, რომელსაც დაადგამს ავტომობილს და ხდება დასაქმებული. უმუშევრების უმეტესობა სწორედ ასე იქცევა, ამიტომ, დღეს ვინმემ რომ იკითხოს, რამდენი ტაქსი გადაადგილდება თბილისის ქუჩებში, არავინ იცის, იმ ორგანოებმაც კი, ვისაც ამის ცოდნა ევალება“.**

შეკითხვაზე — სად არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან — ვასო ურუშაძემ გვიპასუხა: **საჭიროა ახალი ავტობანების, მაგისტრალებისა და მათი დამაკავშირებელი ქუჩების გახსნა. ეტაპობრივად უნდა დაიწყოს ახალი გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა, რასაც მოძრაობის განტვირთვა მოჰყვება. ამავე დროს, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ავტოპარკის განახლებაზეც იმიტომ, რომ ნებისმიერი მოძველებული, მოუწესრიგებელი ავტომანქანა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის ბუნებას, ადამიანის ჯანმრთელობას.**

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ შემოსავალი

დაუბეგრავი მინიმუმის ასი დღე

მათ, ვისაც წლიური შემოსავალი ექვს ათასზე, ანუ თვეში 500 ლარზე მეტი არ ჰქონდათ, წლეულს ყოველთვიურად დაქვითული 20-20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი 360 ლარი მიიღეს. „ხელგაშლილი“ მთავრობის ეს „საქველმოქმედო“ ჟესტი, დარწმუნებული ვართ, ახლაც ბევრს ტკბილად ახსოვს. ჰოდა, სიდუხჭირისა და გაჭირვების ეს სიტკბო მომავალშიც რომ გაჰ ყვეთ, საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულების თანახმად, ეს ხალხი, ანუ დაბალშემოსავლიანი მოსამსახურეები, დაუბეგრავი მინიმუმის ნაწილს გაისადაც მიიღებენ.

დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის წესი გაისადაც ისეთივე იქნება, როგორც წლეულს. ბუნებრივია, ბევრს ებადება კითხვა: რატომ მაინცდამაინც 360 და არა, ვთქვათ, 350 ან 400 ლარი? სპეციალისტების განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ფიზიკურ პირს, რომელიც, კალენდარული წლის განმავლობაში, ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლის სახით 6 ათას ლარზე მეტ თანხას არ იღებს, უფლება აქვს ამ თანხიდან დაუბეგრავი მინიმუმის — 1800 ლარის — 20 პროცენტი მიიღოს.

თუ როდიდან დაიწყება გაისად დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებასთან დაკავშირებით ელექტრონული დეკლარაციების შევსება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე, ამის თაობაზე მოსახლეობას დამატებით ეცნობება. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია იმავე დღეს მისი პირადი აღრიცხვის ბარათზე ავტომატურად აისახება. ამის შემდგომ, სამი თვის ვადაში, საგადასახადო ორგანო სახაზინო სამსახურს შესაბამის საგადასახადო ვალდებულებას გადაუგზავნის, რომლის შესრულების ვადა ათი სამუშაო დღითაა განსაზღვრული.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ დაუბეგრავი მინიმუმის თანხის მისაღებად თითოეულ ჩვენგანს (ცხადია, მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავებს ვგულისხმობთ და არა ერის წარჩინებულთ), ფაქტობრივად, ასი დღის მოცდა მოგვიწევს. მოკლედ, ნაპოლეონის ვატერლოომდე ცოტაღა გვიკლია...

დაუბეგრავ მინიმუმთან დაკავშირებით აუცილებლად აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადის მაღალი პროცენტი, რომელიც მცირეშემოსავლიან დასაქმებულთათვის, რომელთა რიცხოვნობა, თითქმის ნახევარ მილიონ კაცს შეადგენს, რაც ისედაც ნახევრად დაუსაქმებელ ქვეყანაში უზარმაზარი რიცხვია, რომლის დაწევა, დღევანდელი ხელისუფლების არაერთი დაპირების მიუხედავად, არა და არ მოხდა. როგორც ჩანს, ეს 360-ლარიანი „ლუკმა“, გადასახადების დანაპირები, თუმცა კი, შეუსრულებელი შემცირების შემცვლელი უნდა იყოს. არადა, ხომ იყო დრო, როცა საშემოსავლო გადასახადი საქართველოში 12 პროცენტი იყო, შემდგომ ავადსახსენებელი ზურაბ ნოღაიდელის „ფინანსური დიქტატურის“ დროს იგი ყაჩაღურად გაორმაგდა, მაგრამ მერე მაინც დღევანდელ 20-პროცენტიან დონეზე დავიდა. არადა, თავის დროზე, როცა მოსახლეობისთვის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების იდეა საჯარო გახდა, ბევრმა ექსპერტმა ეს მაინცდამაინც დადებითად იმ მიზეზით არ შეაფასა, რომ ამ პროცესს სამომხმარებლო ფასების ზრდა მოჰყვებოდა. მათი აზრით, ამას ჯობდა საშემოსავლო გადასახადის თუნდაც 15 პროცენტამდე შემცირება, თუმცა, მთავრობამ ეს არგუმენტი არ გაიზიარა.

ისე კი უნდა ითქვას, რომ დაუბეგრავი მინიმუმის მოსახლეობისთვის უკან დაბრუნება, ბევრ, უწინარესად, განვითარების გზაზე მდგარ ქვეყანაში, მიღებული პრაქტიკაა, ხოლო მისი არსი საარსებო მინიმუმს უკავშირდება და იგი ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლიდან იქვითება.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, მთავრობისთვის სტრატეგიულად გაცილებით უფრო ხელსაყრელი სწორედ საშემოსავლო გადასახადის შემცირებაა, ვიდრე დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნება. მაგრამ, საქმე ისაა, რომ მართალია, ეს პროცესი წელს დაიწყო და გაისადაც გაგრძელდება, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ასეთი პრაქტიკა, დანამდვილებით ამას ვერავინ იტყვის.

ოთარ მერიშვილი

◎ ალიანჩალიანი

„წლის მეწარმე-2014“

საქართველოში პირველად საერთაშორისო კონკურსი „წლის მეწარმე-2014“ ჩატარდა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, „წლის მეწარმის“ ტიტულის მფლობელი „თიბისი ჯგუფი“ გახდა.

საერთაშორისო კონკურსი „წლის მეწარმე-2014“-ის გალა დაჯილდოების ღონისძიება 11 ნოემბერს სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და ბიზნეს-სექტორი დაესწრო.

საერთაშორისო კონკურსი კომპანია „EY საქართველოს“ ორგანიზებითა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში პირველად ჩატარდა. სხვადასხვა ნომინაციებში წარდგენილი იყო ათეულობით კომპანია, რომლებიც საქართველოში აწარმოებენ პროდუქციას. კონკურსის ჟიურიმ წლის მეწარმედ „თიბისი ჯგუფი“ (მამუკა ხაზარაძე) დაასახელა. გარდა ამისა, ნომინაციაში „საქართველოს ახალი სახით წარმოჩენა“ გაიმარჯვა კომპანიამ „More is Love“ (ნინო ელიავა), ხოლო „ტრადიციული გემოს შენარჩუნებისთვის“ პირველობა კომპანია „კულას“ (ივანე გოგლიძე) ერგო. ბიოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქციის წარმოებისთვის სპეციალური პრიზი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა კომპანია „ჩირინას“ წარმომადგენელს რევაზ ვაშაკიძეს პირადად გადასცა.

ინტერპრესი

◎ ვინ როგორ ფიქრობს?

რამაზ საყვარელიძე: უკრაინაში მცხოვრები ბიზნესმენები ქართული მაიდნის დაფინანსებას აპირებენ?!

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ევროპასა და აშშ-ში ვერ მოიხსნა განცდა, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებით, რაზეც პირდაპირ პასუხისმგებლები არიან ირაკლი ალასანია, მაია ფანჯიკიძე და ალექსი პეტრიაშვილი. ღარიბაშვილის ამ განცხადების შემდეგ, უკვე უმრავლესობაც ამბობს, რომ საერთაშორისო მიმართულებით გარკვეული ხარვეზები ნამდვილად იყო.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ პრემიერის და უმრავლესობის განცხადებას არგუმენტირება სჭირდება, რადგან მოსახლეობამ უნდა იცოდეს, ვის რაში უხდის ფულს. მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, გაასაჯაროვოს ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ მთავრობის საგარეო გუნდი სააკაშვილის ლობირებით იყო დაკავებული.

დღეს რამაზ საყვარელიძე ჩვენი სტუმარია.

— პრემიერ-მინისტის განცხადება, რომ სამი მინისტრი, რომლებიც საგარეო მიმართულებას კურირებდნენ, ნაციონალების სასარგებლოდ მუშაობდნენ დასავლეთში. თუ პრემიერს ჰქონდა ეს ინფორმაცია, მაშინ ჩნდება კითხვა, რას ელოდებოდა ხელისუფლება და ადრე რატომ არ მიიღეს გადაწყვეტილება მათი გათავისუფლების შესახებ?

— ლოგიკური კითხვაა. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამ სიტუაციაში ყველა მოქმედი პირი ემოციებით ხელმძღვანელობს. ემოციური იყო ირაკლი ალასანიას განცხადება, ისევე, როგორც ისეთი მაღალი კვალიფიკაციის ადამიანების, როგორებიც არიან პეტრიაშვილი და ფანჯიკიძე. აქეთა მხარესაც რომ ემოციებია და თანაც დიდი დოზით, ამას ჩემი თქმა არ სჭირდება, ეს ივანიშვილმა თვითონ თქვა. სამწუხაროდ, ეს ემოციები აგრძელებს მუშაობას, არ დამთავრებულა. რაც ღარიბაშვილმა თქვა, ეს არ ნიშნავს ლობირებას, არამედ ისინი უბრალოდ არ საუბრობდნენ იმ ხარვეზებზე, რაც ახასიათებდა სააკაშვილის ხელისუფლებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, თუკი, თემა ეხებოდა სააკაშვილს, იგივე პირები ღიად იძახდნენ იმის შესახებ რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს.

— პრემიერის ამ განცხადების შემდეგ, იგივე გაიმეორა საპარლამენტო უმრავლესობამ და ამბობენ, რომ იყო ხარვეზები საგარეო მიმართულებით, თუკი იყო ხარვეზები და ამას მალავდა ხელისუფლება, მიგაჩნიათ, რომ ეს სწორი ნაბიჯია?

— ამ ხელისუფლებამ სწორედ ის არ იცის, რომ თქვენნაირი კვიმატი ხალხი ჩასაფრებულია... ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ აქამდე ჩუმად იყვნენ და ამ ხარვეზზე მხოლოდ ახლა საუბრობენ, რბილად, რომ ვთქვათ, ეს არის შეცდომა. მათ ყველა დეტალზე კარგად გააზრებული და მორგებული ვერსიაც არ აქვთ. ეს კი, მიუთითებს, რომ ბევრი რამ ემოციებით არის ნაკარნახევი და მათ შორის ეს ფრაზებიც.

— ფაქტია, რომ ემოციებმა ქათულ სინამდვილეში ბევრი პრობლემა შეუქმნა ქვეყანას, დაწყებული 90-იანი წლებიდან. ამ შემთხვევაში როგორ შეძლება პროცესები განვითარდეს, გამორიცხავთ, რომ ეს ემოციური ფონი გარკვეულმა ძალამ, უფრო სწორედ, მეზობელმა სახელმწიფომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს?

— შენს შეცდომას ყველა გამოიყენებს, მით უმეტეს, თუ შეცდომის წყარო ემოციაა. ისევე როგორც ჭადრაკს არ შეეფერება ემოციურობა, პოლიტიკას — მით უმეტეს. რაც შეეხება გამოყენებას, როდესაც ირაკლი ალასანიამ გააკეთა საგარეო კურსის შეცვლაზე განცხადება, რუსი ჟურნალისტების ზარი არ წყდებოდა ჩემს ტელეფონზე. ერთგვარი დამტკბარი ხმით მეკითხებოდნენ, მართლა იმძლავრა თუ არა საქართველოში რუსეთთან ორიენტაციის მსურველთა რაოდენობამ. ყოფილი მინისტრის ამ ფრაზამ დასავლეთი გააღიზიანა, რუსეთს კი ასიამოვნა და ამ სიამოვნების იქეთ კიდევ რა პროცესებს ატრიალებს საიმისოდ, რომ აქ რაღაცა პრორუსული ხდება, ეს ჩვენ არ ვიცით. ასე რომ, ეს ემოციურობა ძალიან საზიანოა ჩვენი ქვეყნისთვის.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები გარკვეულ ა-ო მედია-საშუალებებს აფინანსებენ, კონკრეტულად კი საუბარია მიხეილ ხუბუტიაზე. ფაქტია, რომ რუსეთის მხრიდან ამგვარ წყალობას აქვს თავისი მიზანი...

— რა თქმა უნდა, ეს რაღაცა მიზანს ატარებს, მაგრამ რამდენად აზრიანია მისი ნაბიჯები, ეს სხვა საკითხია, მაგრამ უმიზნოდ რუსეთი ფულს არ ყრის, რაც უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. თქვენ ახლა დაფინანსება ახსენეთ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინაში მცხოვრები ბიზნესმენებიც აპირებენ, დააფინანსონ „ქართული მაიდანი“, ჩვენ გვახსოვს სააკაშვილიც დაიმუქრა საქართველოში „მაიდანი“ იქნებაო. ამ მხრივ, ერთი მხრიდანაც ჩანს ინტერესი, რომელსაც ფინანსები ახლავს და მეორე მხრიდანაც ჩანს ინტერესი, რომელსაც ასევე ახლავს ფინანსები.

— შეიძლება, რომ მაიდნის თემა არ იყოს მხოლოდ სააკაშვილი-უკრაინის დონეზე მიღებული გადაწყვეტილება?

— რასაკვირველია, მე არ გამოვრიცხავ, რომ ამერიკის პოლიტიკური ელიტის გარკვეული ფიგურებიც იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ საქართველოში რაღაცა მაიდნის მაგვარი მოხდეს. იგივე ფიგურები, რომლებიც უკრაინული მაიდანით იყვნენ დაინტერესებული, რადგან მათ საქართველოში ამერიკის ერთგული თუ ეგულებათ, ურჩევნიათ, ასეთები ჰყავდეთ, ვიდრე შემკამათებელი ფიგურები. ასე რომ, აქ შეიძლება რთული სიტუაცია შეიქმნას. ამაზე მარტო ხელისუფლებამ არ უნდა იფიქროს, ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მოსახლეობამ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვარდების რევოლუციას“ მხარს უჭერდა დასავლეთი, რის შედეგადაც მივიღეთ სააკაშვილის ხელისუფლება. რაღაცა ანალოგიური შეიძლება გარკვეულ წრეებში ახლაც იყოს ჩაფიქრებული და მეორე მხრივ, ისეთი ტიპის გადატრიალებები, რომელიც პრორუსულ, პროსაბჭოთა ოდიოზურ ორიენტაციას შემოტენის საქართველოში. ჩვენთვის არც ერთი არაა მისაღები. საერთოდ, რევოლუციები არ გვინდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოხდება თუ ხალხმა არ დაუჭირა მხარი. ამდენად, ხალხის დამოკიდებულება და ორიენტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისა, როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ სარეკლამო სივრცე

გვინდა, შოუს ვუყურით და არა იმას, ვინ რას ყიდის!

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ცოტა ხნის წინათ ხელმოწერილი ასოციირების ხელშეკრულებით ქვეყანაში შემოსაღები რეგულაციები თანდათანობით საზოგადოებრივი ყოფის ყველა სფეროში იჭრება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ისეთ აბეზარ, ხშირად საოცრად მდარე ხარისხის, რომელიმე უცხოური კომპანიის პროდუქციის უნიჭოდ ნათარგმნ-გახმოვანებულ რეკლამაზე, რომელიც ასე აღიზიანებს ტელემაყურებელსაც და რადიომსმენელსაც. თუმცა, ცხადია, საქმე ეხება არა მარტო უხარისხო, არამედ მიმზიდველ რეკლამასაც — არსებული ნორმების შესაბამისად, როგორც ტელე, ასევე რადიომაუწყებლებს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, მათ შორის საუკეთესო დროს (ანუ ეგრეთ წოდებულ „პრაიმ ტაიმში“) სარეკლამო ჭრების დრო საათში არ შეიძლება 12 წუთს სჭარბობდეს.

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტები ეჭვობენ, რომ ამ ცვლილების შედეგად ტელე და რადიოკომპანიების მიერ რეკლამით მისაღები შემოსავლის დონე მნიშვნელოვნად შეუმცირდეს, რადგან მისი მთავარი ნკადი სხვა მედიასაშუალებებში მიიმართოს.

რეკლამის სფეროში ექსპერტთა აზრით, რომლებსაც თავიანთი დასკვნები უცხოეთის არაერთი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე გამოაქვთ, თავდაპირველად სარეკლამო ნაკადი ნაკლებად რეიტინგული, ასევე პერიფერიული ტელე და რადიოკომპანიებისკენ მიიმართება, რის გამოც მთავარი მასა ბეჭდვით მედიისკენ, ონლაინ-გამოცემებისა და გარე სტაციონალურ თუ მოძრავ ბანერებისკენ, მისი არასტანდარტული ფორმირებისკენ იცვლის მიმართულებას. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ აუდიოვიზუალურ სივრცეში რეკლამის განთავსების ახალი რეგულაცია მას არა დღევანდელივით ქაოტურად, არამედ სავსებით „დალაგებულად“ განათავსებს — ამჟამად მთელი მასა დღის გადაცემებზე მოდის, ღამე კი, ფაქტობრივად, „ცარიელია“, ამდენად, რეკლამისთვის განკუთვნილი დრო მკაცრ ჩარჩოებში მოექცევა, რის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

აღნიშნული რეგულაციების ამოქმედების შედეგად, ფაქტობრივად, ყველა რეკლამის დამკვეთს ამ მიმართულებით საკუთარი კომპანიის სარეკლამო სტრატეგიის მნიშვნელოვანი კორექტირება მოუწევს, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით ისინი იზარალებენ. სავსებით შესაძლებელია და მსოფლიო პრაქტიკაში ამის არაერთი მაგალითია, როცა ამ გზას დამდგარ კომპანიებს

საკუთარი რეკლამის განთავსების გაცილებით ეფექტიანი ალტერნატიული წყაროებისთვის მიუგნიათ.

ამჟამად სატელევიზიო რეკლამების განთავსების მხრივ მეტად სერიოზული ცვლილებების პაკეტი მზადდება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უწინარესად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების ხელშეკრულების გაფორმების შედეგია. **ყველაზე მთავარი რეგულაცია ის გახლავთ, რომ დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, მათ შორის ეგრეთ წოდებულ „პრაიმ ტაიმში“, მაუწყებელს სარეკლამო ჭრისთვის ყოველ საათში დროის 20 პროცენტი ანუ მხოლოდ 12 წუთი ექნება.** ყველაზე საგულისხმო ამ ახალ რეგულაციაში ის გახლავთ, რომ, მართალია, დღესდღეობით მოქმედი კანონმდებლობით მთლიან სამაუწყებლო დროში სარეკლამო ჭრების პროცენტული წილი არ იცვლება, მაგრამ შეზღუდვები უკვე საათობრივ მონაკვეთებს ეხება. 24-საათიანი მაუწყებლისთვის სარეკლამო დრო კვლავაც უცვლელი იქნება — (დღე-ღამეში 4 საათი და 48 წუთი), თუმცა, ამჟამად თუ მისი გამოყენება ნებისმიერ ხელსაყრელ დროს შეუძლია, მომავალში ეს პრივილეგია აღარ ექნება. შედეგად, ცხადია, მოგებული მაყურებელი და მსმენელი დარჩება, თორემ იმის უამრავი შემთხვევის გახსენება შეუძლია თითოეულ ჩვენგანს, როცა საინტერესო გადაცემებისთვის ან არ გვიცქერია, ან აღარ მოგვისმენია მხოლოდ იმის გამო, რომ აბეზარ, დამტანჯავ რეკლამას შევუწუხებივართ.

რეკლამის დამკვეთთა და განმთავსებელთა ინტერესი, რომ იგი გაუშვან ყველაზე რეიტინგულ გადაცემებში, სავსებით გასაგებია — ამ დროს ტელევიზიასაც მეტი მაყურებელი ჰყავს და რადიოსაც — მეტი მსმენელი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რადიო თუ ტელეგადაცემები, უწინარესად, მსმენელისა და მაყურებლისთვის კეთდება და არა რაღაც-რაღაცების რეკლამისთვის.

ახალი რეგულაციის შემოღების შემდეგ, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი ცვლილება რეკლამის დამკვეთთათვის ის იქნება, რომ „პრაიმ ტაიმების“ ფასი კიდევ უფრო მეტად მოიმატებს, თუმცა კი, რამდენად მნიშვნელოვნად, ამას, ცხადია, უკვე თავად აუდიოვიზუალური კომპანიების პოპულარობა, მაუწყებლობის არეალი და კონკურენტუნარიანი ბაზარი განაპირობებს.

— ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმებით, საქართველომ ვალდებულება იკისრა, რომ საკანონმდებლო ბაზას მის საკანონმდებლო სივრცეს შეუხამებდა, — განაცხადა ახალი რეგულაციების სამომავლო შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **ხატია ყურაშვილმა.** — შესაბამისად, ეს ვალდებულება აუდიოვიზუალურ მაუწყებლობაში მოქმედ კანონმდებლობასაც ეხება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების ხელშეკრულების თანახმად, ევროპაში მოქმედი სარეკლამო დროის ლიმიტის რეგულაცია ჩვენში ხუთ წელიწადში უნდა განხორციელდეს. ქალბატონ ხატია ყურაშვილის განცხადებით, კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებებზე მუშაობა ამჟამად დასაწყის სტადიაზეა, ამდენად ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის წარუდგენენ მათ პარლამენტს. ერთი კია: როდესაც არ უნდა ამოქმედდეს ახალი რეგულაცია, შესაბამისი ცვლილებებისათვის მზადება დროულად უნდა დაიწყონ როგორც აუდიოვიზუალურმა მაუწყებლებმა, ასევე რეკლამის განმთავსებლებმაც.

ოთარ ტურაბელიძე

საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 31 ოქტომბერს მიიღო და ამოქმედდა იმავე წლის 1 დეკემბრიდან. მასში დღემდე არაერთი ცვლილება და დამატებაა შესული, ამიტომ ბუნებრივია ის დაინტერესება, რომელსაც ჩვენი რუბრიკის მკითხველი იჩენს აღნიშნული კანონის მიმართ.

დღევანდელ სტატიას სწორედ მიღებული შეკითხვების გათვალისწინებით შემოგთავაზებთ და შევეცდებით, არც კანონში შესული ძირითადი სიახლეები, რომლებიც დღეის მდგომარეობით არის შესული, დავტოვოთ უყურადღებოდ.

კითხვა: რა არის საჯარო სამსახური და სახელმწიფო თანამდებობა?

პასუხი: საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო (იგივე — სახელმწიფო) ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

რაც შეეხება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობას, იგი არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

კითხვა: მოქმედი კანონის თანახმად, ვინ წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს?

პასუხი: სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი (28.04.2006. №2945), აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები (10.11.2006. №3653).

სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა (29.06.2010. №3204).

სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

- **საქართველოს პარლამენტი, გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა, დროებითი საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატებისა (10.11.2006. №3653)**
- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (28.04.2006. №2945);**
- **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები (02.05.2014. №2363);**
- **საქართველოს იუსტიციის საბჭო;**
- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, საქართველოს პროკურატურა;**
- **საქართველოს ეროვნული ბანკი;**
- **სახელმწიფო აუდიტის სამსახური; (22.06.2012. №6550 ამოქმედდა 2012 წლის 1 ივლისიდან);**
- **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები;**
- **სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია (11.07.2007. №5248).**

გარდა ამისა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

- **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, გარდა ამ ორგანოების ფრაქციათა აპარატებისა (10.11.2006. №3653);**
- **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.**

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, ადგილობრივი თვითმმართველობის რომელ დაწესებულებებში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად და იქვე მიგვითითოთ საჯარო სამსახურის სახეები?

პასუხი: ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: საკრებულო, გამგეობა, მერია, მუნიციპალიტეტი.

საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია, მაგრამ იგი იყოფა შემდეგ სახეებად — სახელმწიფო სამსახური და სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში.

საჯარო მოსამსახურე კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში (17.05.2011. №4676 ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს). მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.

საჯარო სამსახურს ეწევიან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, მოხელეები, დამხმარე მოსამსახურეები, შტატგარეშე მოსამსახურეები.

მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე, ხოლო შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვინ ადგენს საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა დასახელებას და თანამდებობრივ სარგოებს?

უფრო კონკრეტულად — ვის აქვს საქართველო პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობათა სარგოების დადგენის, ასევე, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის (ზედა და ქვედა ზღვრების) განსაზღვრის უფლება, თანამდებობათა რანგების მიხედვით? მაგალითისთვის მაინტერესებს, ვინ განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს და თანამდებობათა დასახელებას?

პასუხი: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, აგრეთვე შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნულ ან არჩეულ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა თანამდებობრივ სარგოებს ადგენს საქართველოს კანონი. საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების ზედა და ქვედა ზღვრებს სამსახურის თანამდებობათა რანგების მიხედვით. (20.09.2013. №1262; ძალაშია 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ე. ი. 2013 წლის 17 ნოემბრიდან).

რაც შეეხება თქვენს შეკითხვაში მაგალითის სახით მოყვანილ საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს — შესაბამისი სახელმწიფო მინისტრი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფორმულირება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში საქართველოს პარლამენტმა შეიტანა 2014 წლის 2 მაისს (№2363).

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 20 სექტემბრის №1262 კანონით (რომელიც ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, ე. ი. 2013 წლის 17 ნოემბრიდან) სახელმწიფო მოხელეთათვის დადგენილია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები — სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა?

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 12 ივნისის №436 კანონით, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

კითხვა: რა შემთხვევაში არ მიიღება პირი საჯარო სამსახურში?

პასუხი: პირი საჯარო სამსახურში არ მიიღება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;
- იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში (24.09.2010.№2972; ძალაშია 2010 წლის 1 ოქტომბრიდან);
- სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;
- სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
- სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
- თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;
- არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

სამსახურში მიღებისას პირმა უნდა წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური

ინფორმაცია

ირაკლი ალასანიას მინისტრობის პერიოდში სისტემა „ჩახურული“ იყო

როგორც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, თავდაცვის სამინისტრო კიდევ უფრო „ჩაიხურება“ მინდია ჯანელიძის მინისტრობის დროს.

„ალასანია სპეცსამსახურებიდან მოსული პირი იყო და მათი სტილია მიიღო ის ინფორმაცია, რაც მას უნდა. ჩახურული ნიშნავს სიტუაციას, როდესაც შენ სურათი არ გაქვს, თუ რა ხდება რეალურად. როდესაც არ გადის ინფორმაცია იმ პირებამდეც კი, ვისთანაც უნდა მიდიოდეს ინფორმაცია“, — განაცხადა დავით თევზაძემ.

მისი განცხადებით, თავდაცვის მინისტრის ცვლილება ჯარზე ვერანაირად ვერ აისახება, იმიტომ, რომ ჯარი არავის აინტერესებს. დავით თევზაძე თავდაცვის უწყების ხელმძღვანელად მინდია ჯანელიძის დანიშვნას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა მინდია ჯანელიძის მინისტრად დანიშვნა იჩქარა.

— ირაკლი ღარიბაშვილს შეეძლო თავად შეეთავსებინა თავდაცვის მინისტრობა. ეს მიღებული პრაქტიკაა. 6 ან 8 თვე მიეცა მინდია ჯანელიძისათვის, როგორც მის თანაშემწეს გაცნობოდა სიტუაციას. ეს ჯანელიძისთვისაც კარგი იქნებოდა, რადგან მას არ მოუწევდა მინისტრობის სწავლის პერიოდის გავლა მინისტრის რანგში, — განაცხადა დავით თევზაძემ.

სოროსს საქართველოს მონახულება მოუნატრა

„ღია საზოგადოების ფონდების“ დამფუძნებელი ჯორჯ სოროსი საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვა. ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოში“ განაცხადეს, ჯორჯ სოროსი სა-

ქართველოს, ფონდის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით ეწვევა და 15 ნოემბერს საიუბილეო ღონისძიებებს დაესწრება.

მათივე ინფორმაციით, უკვე რამდენიმე თვეა, ფონდი ინტენსიურად გეგმავს საიუბილეო ღონისძიებებს. პირველი ასეთი ღონისძიება, ბათუმის მედიაკონფერენცია, სექტემბერში ჩატარდა. ნოემბერში გრძელდება საიუბილეო ღონისძიებები, სადაც ფონდი სხვადასხვა სფეროში თავისი საქმიანობის 20 წელს შეაჯამებს. ნოემბერში, საიუბილეო ღონისძიებების დასკვნით კვირაში მონაწილეობის მისაღებად ფონდმა „ღია საზოგადოების ფონდების“ დამფუძნებელი ჯორჯ სოროსი, „ღია საზოგადოების ფონდების“ წარმომადგენლები და სხვა უცხოელი სტუმრები მოიწვია.

ამასთან, „ღია საზოგადოების ფონდების“ დამფუძნებელი, ფინანსისტი და ფილანტროპი ჯორჯ სოროსი საქართველოში 2012 წლის 1-2 დეკემბერს ორდღიანი კერძო ვიზიტით იმყოფებოდა.

შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა* – ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა (22.03.2013 № 386). რაც შეეხება მოსამსახურეს, რომელიც რეგისტრირებულია კანდიდატად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში, მოვალეა იხელმძღვანელოს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნები სამსახურში მისაღებად. კერძოდ, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ან ზემდგომმა უფროსმა (29.06.2010.

№3204). ამასთანავე, დაწესებულების რეორგანიზაციისას, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, მოხელის კვალიფიკაციის დასადგენად დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) შეიძლება შემოიღოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ნორმატიული აქტით (29.06.2010. №3204). საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნორმატიული აქტების მიღების (გამოცემის) უფლების მქონე შესაბამისი დაწესებულების (მისი ხელმძღვანელის) ნორმატიული აქტით. საქართველოს პარლამენტის აპარატის შემთხვევაში დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით (26.10.2010. №3764).

კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ, როგორი წესით ხდება მოხელის სამსახურში მიღება, ვის აქვს მისი თანამდებობაზე დანიშვნის უფლება და რა პერიოდით განისაზღვრება საჯარო სამსახურის ვადა?

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, მოხელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით. თანამდებობაზე პირის დანიშვნის უფლება აქვს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ ამისათვის უფლებამოსილ მოხელეს. თანამდებობა, რომელზეც მოხელის დანიშვნის უფლება აქვს დაწესებულების ხელმძღვანელს, განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოხელე სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მაგალითად, სამსახურში განსაზღვრული ვადით მიიღება: თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი – მოხელის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან განთავისუფლებამდე; თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელი – კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე; საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე და მრჩეველი (ექსპერტი), საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის სამდივნოს მოხელე – არა უმეტეს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით (28.04.2006. №2945) და სხვა.

პირს, რომელსაც მოხელის სამსახურში მიღების უფლება აქვს, შეუძლია, მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს 6 თვისა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კანონით დადგენილი წესით. ამასთან, გამოსაცდელ ვადაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის და სხვა საპატიო მიზეზის გამო გაცდენილი დრო. გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში.

გამოსაცდელი ვადა არ გამოიყენება:

- **პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ;**
- **პარლამენტის მიერ არჩეული ან დანიშნული მოხელის მიმართ;**
- **პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ;**
- **პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ (23.12.2005. №2470);**
- **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეულ მოხელეთა მიმართ (10.11.2006. №3653);**
- **დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისას.**

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა სახის დოკუმენტები უნდა წარადგინოს პირმა საჯარო სამსახურში მიღების დროს?

პასუხი: სამსახურში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს:

- განცხადება;
- Curriculum Vitae (CV) – 17.05.2011. №4676 ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა – ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არარსებობა (22.03.2013 № 386);
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები (4.12.2009. №2222).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის საფუძველი.

პირი, რომელიც პირველად იქნა მიღებული სამსახურში, დამნიშვნელ მოხელეს წარუდგენს შემდეგი შინაარსის ფიცს: „შეგნებული მაქვს რა საჯარო სამსახურში ჩემზე დაკისრებული უდიდესი პასუხისმგებლობა, ვაცხადებ, ერთგულად ვემსახურო საქართველოს სახელმწიფოს და მის ხალხს, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, პატივი ვცე სახელმწიფოს ინტერესებს და ავტორიტეტს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კეთილსინდისიერად აღვასრულო ჩემი მოვალეობანი“. დამნიშვნელი თანამდებობის პირი ხელს აწერს ფიცის ტექსტს, რომელიც შემდგომ ინახება მოხელის პირად საქმესთან ერთად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაზეც ქვემოთ, შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, გვექნება საუბარი. საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. ამასთანავე, კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ მონაცემებს:

- სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების და კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელებები;
- კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები;
- შესასრულებელი სამუშაო;
- თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
- განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა;
- შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი.

კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

კითხვა: ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, გთხოვთ, გვაცნობოთ ვინ შეიძლება დაინიშნოს საჯარო თანამდებობაზე უკონკურსოდ?

პასუხი: საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 29 ივნისის №6611 კანონით, რომელიც გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს შევიდა ძალაში, თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;
- მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები, მრჩევლები;
- პირები, რომლებიც დანიშნული არიან თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით;
- თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;
- დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს.
- მოხელეები – სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში (22.03.2013 № 386);
- მოხელეები – იმავე დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულში გადაყვანისას, თუ მათ მიერ კონკურსის წესით დაკავებული თანამდებობისა და დასაკავებელი თანამდებობისათვის ერთი და იგივე საკონკურსო მოთხოვნებია წაყენებული (22.03.2013 № 386).

კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასება ხდება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ. მითითებული კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შეფასების შემდგომ, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან საერთოდ უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი წევრი, გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს კი – კომისიის მიერ კანდიდატის წამოყენების ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის თქმის შესახებ (28.04.2006. №2945).

კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე.

დღეს აქ შევწყვეტთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხთა განმარტებას. მოსამსახურის უფლებებსა და გარანტიებზე, სამსახურებრივ მოვალეობებსა და საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირებაზე, საჯარო მოსამსახურეთა ქცევის ზოგად წესებზე და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხზე, ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში გესაუბრებით.

ირინე ღლონტი
ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.

** ვინაიდან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთა სია საკმაოდ ვრცელია, წინამდებარე სტატიის ფარგლებში მოკლებული ვართ შესაძლებლობას, გამოვაქვეყნოთ სრული ჩამონათვალი. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე:*
https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=33550

◎ ინფორმაცია

„ლავასოღლი ბათუმსკი“ უკრაინიდან გამოაძევეს

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 32 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი „ლავასოღლი ბათუმსკი“, იგივე მინდია გორაძე უკრაინიდან საქართველოში გამოაძევეს.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მინდია გორაძეს უკრაინაში დაბრუნება 2017 წლამდე ეკრძალება.

არსებული ინფორმაციით, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდის საქართველოში დეპორტაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორციელდა.

უკრაინელმა სამართალდამცავებმა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდები მინდია გორაძე, ვარლამ კუხიანიძე, იგივე „ვატია“ და სერგო ღლონტი, იგივე „გუგა“, კიევის ერთ-ერთ რესტორანში ოქტომბრის ბოლოს დააკავეს.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, პეკინის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა გახსნა. შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოების თანამშრომლებმა, 1988 წელს დაბადებული, თბილისში მცხოვრები ლევან კ. მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ 11 ნოემბერს, ღამით, პეკინის ქუჩაზე, დროებით საცხოვრებელ ბინაში, ურთიერთშელაპარაკებისას დანით სხეულის მრავლობითი ჭრილობები მიაყენა ნაცნობს, 1991 წელს და-

ბადებულ ბექა ბ-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიებით დგინდება, რომ ურთიერთშელაპარაკება თანხის გამო მოხდა, რომელიც ბრალდებულმა ბექა ბ-ს რამდენიმე თვის წინათ ასესხა და ამ თანხის დაბრუნებას სთხოვდა. ლევან კ-მ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, კვალის დაფარვის მიზნით, ბექა ბ-ს დროებით საცხოვრებელ ბინაში ხანძარი გააჩინა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ლევან კ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. მკვლელობის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პოლიციელებმა თელავში უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სოფელ ყარაჯალაში მცხოვრები, 1984 წელს დაბადებული ჰალდუმ ს. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, საქონლის ფერმის ჩხრეკისას, ჰალდუმ ს-ს მიერ გადამალული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 527 საბრძოლო ვაზნა, „აკა-ემ“-ის და „აკ-74“-ის მოდელის არარეგისტრირებული 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 3 მჭიდი და 1 კონდახი ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „12 ნოემბრის“
№ ს-670 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". მე-IV უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „12 ნოემბრის“
№ ს-671 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". მე-V უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „12 ნოემბრის“
№ ს-672 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". მე-VI უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 მ³)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2014 წლის „12 ნოემბრის“
№ ს-673 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან ქვემოთ, სამთო საქმისათვის მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით. ბ) ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავების შემთხვევაში შერჩეული უნდა იქნეს მუხტების ოპტიმალური სიდიდე, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს აფეთქებისგან გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს. გ) დაუშვებელია ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. კინკიშასა და უსახელო ღელის კალაპოტში. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვირიკეს მიმდებარედ „კინკიშის ანდეზიტო-ბაზალტის (საღორღე ნედლეული) გამოვლინება”, (საღორღე ნედლეული, კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 25 000 მ³).
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. კვირიკე.
7	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 ნოემბრს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ რაც შეუძლიათ, აკეთებენ!

ყველა პენსიონერს ცოტა, მაგრამ თანაბრად!

საპარლამენტო უმრავლესობასთან პრემიერის შეხვედრის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა პოზიცია შეიცვალა და პენსიის ყველასათვის გაზრდა გადაწყვიტა. **ნოდარ ხადურმა ამჯერად განაცხადა, რომ სექტემბრიდან პენსია ყველა პენსიონერს გაეზრდება.** შესაბამისად, 100 ათასის ნაცვლად, ამჯერად პენსია 700 ათასს ადამიანს გაეზრდება, თუმცა, შედარებით ნაკლები დოზით. სოციალურად დაუცველებისთვის თუ 25 ლარი იყო განსაზღვრული, ახლა ყველას ერთად 10 ლარს დააჯერებენ.

„ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე. მთავრობამ მიაწოდა უმრავლესობის წევრებს ინფორმაცია, რომ 2015 წელს, 1 სექტემბრიდან პენსია გაეზრდება ყველა კატეგორიის პენსიონერს 10 ლარით, ანუ გაისად პენსიების ზრდა აღარ მოხდება სოციალური კატეგორიის მიხედვით. ის ყველა პენსიონერისთვის გაიზრდება. ამავე დროს 2016 წელსაც ყველასთვის გაგრძელდება პენსიის ზრდის პროცესი“, — განაცხადა ხადურმა.



ახალი ინიციატივის ავტორი პრემიერ-მინისტრი ყოფილა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის ზურაბ ტყემალაძის ინფორმაციით, პენსიის ყველა კატეგორიის პენსიონერისთვის გაზრდის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის. დეპუტატის შეფასებით ამგვარი გადაწყვეტილება სამართლიანია.

„მიღებულია სამართლიანი და კარგი გადაწყვეტილება. პრემიერის ინიციატივა იყო და ასეც გაკეთდება, რომ სექტემბრიდან ყველას მოემატება პენსია 10 ლარით. ეს ტენდენცია მომავალ წელსაც გაგრძელდება. შეიძლება არ არის საკმარისი, მაგრამ მარტო 10 ლარზე არ არის საუბარი — 10 ლარი დაემატება 150 ლარს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პენსიონერებს და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილსაც ბევრი ხარჯი მოაკლდა — თუნდაც ჯანდაცვაში გასაწევი. გარდა ამისა, ბევრ ფაკულტეტზე სწავლა უფასოა, ასევე უფასოდ რიგდება სახელმძღვანელოები. ეს ყველაფერი ოჯახისთვის სასიკეთო ცვლილებაა“, — განაცხადა ტყემალაძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი მიიჩნევს, რომ საჭიროა პენსია გარკვეული ოდენობით ყველას გაეზარდოს. მისი აზრით, არასწორია პენსიის მხოლოდ გარკვეული კატეგორიისთვის გაზრდა.

„სასურველია, პენსია გარკვეული ოდენობით ყველას გაეზარდოს. ეს საკამათო თემაა და ვნახოთ, უმრავლესობა რა გადაწყვეტილებას მიიღებს“, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტზე დეპუტატები პლენარული სხდომის ფორმატში იმსჯელებენ, რის შემდეგაც დოკუმენტი შენიშვნებით მთავრობას დაუბრუნდება.

ამასობაში კი პირველ კომენტარს აკეთებენ ექსპერტები. ალექსანდრე თვალჭრელიძის აზრით, პენსია ხელფასის პროპორციული უნდა იყოს.

„10 ლარად რის გაკეთება შეიძლება? პენსიის გაზრდა საერთოდ კარგია, მაგრამ იგი ხელფასთან უნდა იყოს მიბმული, მისი პროპორციული უნდა იყოს. საერთოდ, განვითარებულ ქვეყნებში პენსია 25 წლის საშუალო ხელფასის 70%-ია“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება იმას, რამდენად მართებულია ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ პენსია ყველა პენსიონერს გაეზარდოს და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველებს, თვალჭრელიძის აზრით, ეს გადამწყვეტი არ არის.

„ვფიქრობ, საერთოდ არ არის არსებითი. გადამწყვეტი მაშინ იქნება, როდესაც პენსია სამომხმარებლო მინიმუმს გადააჭარბებს. ახლა ასეთია ხელისუფლების არჩევანი მწირი ფინანსების ფონზე. ასე გადაწყვიტა მთავრობამ და ამ შემთხვევაში მას არ ვაკრიტიკებ, რაც შეუძლია, აკეთებს“, — აღნიშნა თვალჭრელიძემ.

ბექა დანელია

◎ ალიანჩალიანი

4000 ახალი ადგილი სკოლამდელი ბავშვებისთვის

მომავალ წელს საბავშვო ბაღებში კიდევ 4000 ბავშვისთვის შეიქმნება ადგილი, — ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე დავით ნარმანიამ განაცხადა. სხდომის დასაწყისში თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ბაღებთან და მომავალი წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტში პრიორიტეტული საკითხები იქნება ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების გაუმჯობესება, ქალაქის გამწვანება, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ასევე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. მისივე თქმით, მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტის პარამეტრები 800 მილიონ ლარამდე განისაზღვრება. მერმა დასძინა, რომ თუ დედაქალაქს მეტი შემოსავლები ექნება, შესაბამისად მეტი პროექტის დაფინანსებასაც შეძლებენ.

დავით ნარმანიამ სხდომაზე ისაუბრა საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით. კერძოდ, მიმდინარე წელს დედაქალაქში რამდენიმე ბაღი გარემონტდა, რის შედეგადაც 2 თვეში 3000 ბავშვისთვის საბავშვო ბაღებში გაჩნდა ადგილი. მერის განცხადებით, მომავალ წელს 4 000 ბავშვისთვის შეიქმნება დამატებით კიდევ ადგილები. ნარმანიამ ნაცმოძრაობის იერ ოფისებად გამოყენებულ საბავშვო ბაღების შენობების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს ჩვენი მწარე რეალობაა, როცა საბავშვო ბაღები გამოყენებული იყო ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის. დედაქალაქის მერმა მოუწოდა გამგებლებს, თუკი სადმე მსგავსი რამ კიდევ შეინიშნება, მიაწოდონ ამის შესახებ ინფორმაცია, რათა მერიამ დაიბრუნოს საბავშვო ბაღების შენობები. მოხდეს მათი რეაბილიტაცია.

ინტერპრესი

ინფორმაცია

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებულ მხარეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2014 წლის 15 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში 10:00 საათზე, სოფელ მოლითის საჯარო სკოლის შენობაში 14:00 საათზე და სოფ. ჩუმათელეთში თამარ მეფის 100 ნომერში მდებარე შენობაში 17:00 საათზე გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო შეხვედრაზე დასწრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ქალბატონ ირინა კვეტენაძეს.

მობილური: 599 53 59 95 ელ-ფოსტა: irina_bt@caucasus.net

Information

On November 15, 2014 will be Public consultation meetings on environmental impact assessment for the rehabilitation of Dzirula-Kharagauli-Moliti-Pona-Chumateleti Road – Km 0.0 to Km 50.0 road section in the following locations:

1. Kharagauli-Municipality building at 10:00 a.m.
2. Molity School building at 14:00 p.m.
3. Village Chumateleti, Building in Tamar Mepe str. #100 at 17:00 p.m.

All interested persons may attend the meeting. For additional information, please contact Mrs. Irina Kvetenadze, mobile: 599 53 59 95, e-mail: irina_bt@caucasus.net

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სამხრეთი ოსეთი დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებთან დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა დაავალა ნაწილობრივად აღიარებული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაამყაროს „დიპლომატიური და სხვა“ ურთიერთობანი თვითგამოცხადებული დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკებთან“. ამით, ბატონი თიბილოვის სიტყვებით, სამხრეთი ოსეთი აცხადებს თავის, „როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ მსოფლიოში პოლიტიკური პროცესების მისეულ ხედვას“.

თვითმარქვია თიბილოვი მართლა პრეზიდენტივით ბაქიბუქობს!



იმის შესახებ, რომ სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა „ხელი ედოს პულსზე“ და დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკებთან“, ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა ოსეთის სახელმწიფო ტელერადიო კომიტეტის „ირის“ ეთერში.

ბრძანებულებები დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ხელმოწერილი იქნა პრეზიდენტის მიერ ჯერ კიდევ 18 და 27 ივნისს შესაბამისად.

ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოს პრეზიდენტის სიტყვებით, დონბასში მოვლენებთან დაკავშირებით სამხრეთი ოსეთის თემამ მსოფლიო არენაზე შეიძინა უფრო ფართო ასპექტი. ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება კი, მიაჩნია ბატონ თიბილოვს, უმკვიდრებს სამხრეთ ოსეთს „დამოუკიდებელი პოლიტიკური სახელმწიფოს სტატუსს მსოფლიოში პოლიტიკური პროცესების საკუთარი ხედვით“.

პრეზიდენტმა გაავლო პარალელები დონბასში დღევანდელ მოვლენებსა და 2008 წელს კავკასიაში ომს შორის: „სამხრეთი ოსეთის ხალხმა გაიარა იგივე გზა, რაც დონბასის მოსახლეობამ, — განაცხადა მან. — ჩვენი ჩვენი თვალებით ვნახეთ ომის საშინელებანი და არ შეგვეძლო, მხარი არ დაგვეჭირა დონბასის მოსახლეობისთვის“.

სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცხინვალს განზრახული აქვს, განავითაროს ურთიერთობანი სხვა სამხრეთი ოსეთის მაღიარებელ ქვეყნებთან, აგრეთვე გააგრძელოს აქტიური მოღვაწეობა მისი სუვერენიტეტის შემდგომი აღიარებისთვის. მათ შორის, ვინც მას აღიარებს, — არის ოთხი სახელმწიფო — გაეროს წევრი (რუსეთი, ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ), ნაწილობრივ აღიარებული აფხაზეთი, დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკა, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა, დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკები“.

Коммерсант

◎ SIC!

სეპარატისტებმა იტორიის გადაკეთება დაიწყეს

ე.წ „სამხრეთ ოსეთში“ ხელისუფლების გარკვეული გავლენიანი პირები კარგა ხანია, მოითხოვენ რუსეთისა და რამდენიმე ოდიოზური სახელმწიფოს მიერ აღიარებული „ქვეყნის“ ისტორიის სახელმძღვანელოების (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში) გადაკეთებას, თავიდან დაწერას. ამის შესახებ „კავკაზსკი უზელს“ აცნობა დე ფაქტო ცხინვალის ხელისუფლების განათლების მინისტრმა მარინა ჩობოროვამ. მისი განმარტებით აუცილებელი იყო მე-5, მე-8, მე-9, მე-11 კლასების ისტორიის სახელმძღვანელობის სასწავლო პროცესიდან ამოღება ან მათი გადაწერა. მიზეზად არაღიარებული რესპუბლიკის განათლების მინისტრი იმ გარემოებებს ასახელებს, რომ ჩამოთვლილი კლასების ქართულ სახელმძღვანელოებში რუსები ოკუპანტებად იყვნენ მოხსენიებული, საქართველო კი მსხვერპლად.

სეპარატისტთა უკიდურესად ნაციონალურად განწყობილმა ფრთამ მიზანს მიაღწია. თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადრე მოსწავლეებს საქართველოში გამოცემული წიგნებით ასწავლიდნენ ისტორიას, მიმდინარე სასწავლო წლიდან, ბავშვებს ქართულ ენაზე ნათარგმნ, სამხრეთი ოსეთის ისტორიას ასწავლიან, ამბობს ჩიბიროვა და აქვე აღნიშნავს, რომ სხვა კლასების სახელმძღვანელოებზე პრეტენზიები არა აქვთ, რადგან ძველი და შუა საუკუნეების ისტორია დაბალანსებულადაა გადმოცემული. იქ ქართულ-ოსურ და ქართულ -რუსულ ურთიერთობებზე საუბარი არ არის.

მაგრამ მინიტრს არ ეთანხმება იძულებით გადაადგილებული იური კაზმაჩოვი. იგი ამბობს,რომ სამხრეთი ოსეთის განათლების სამინისტრომ სრულად ვერ უზრუნველყო ლიტერატურული თარგმანი ან მისი ოსეთის ისტორიით შეცვალა და ზოგიერთ კლასებში ისტორია, როგორც საგანი, სწავლებიდან ამოიღო და ის ოსური ენის საათებით ჩაანაცვლა.

„კავკაზსკი უზელში“ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ისტორიის ახალი წიგნები მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში დაიბეჭდა.

ქართული რეაგირება

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ივანე კიღურაძე აცხადებს, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. აკადემიკოსი ამბობს, რომ ეს საქართველოსთვის მტკივნეული თემაა და დარწმუნებულია, რომ დადგება დრო, როდესაც ყველაფერი მოგვარდება. დღეს კი არაფრის შცვლა არ შეგვიძლიაო, თვლის პარლამენტის თავმჯდომარე.

გაურკვეველი ფუნქციის მატარებელი სახელმწიფო სტრუქტურის „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში არ არის, რაღაცები ყურმოკვრით იცის: „კი ამბობენ, რომ უნდა ჩამოიტანონო. გეგმაში იყო, მაგრამ ჩამოიტანეს და დაარიგეს თუ არა, ჯერ-ჯერობით არ ვიცით. მე ვითხოვე, ჩამოიტანეთ და მაჩვენეთ-მეთქი. დაველოდოთ და როცა მომიტანენ მერე გეტყვით პასუხს (არა და ამ ლიტერატურით სწავლება უკვე პირველი სექტემბრიდან მიმდინარეობს — **ზ.ბ.**) არ ვიცით შინაარსი, რა წერია და არ მინდა, უაზრო კომენტარი გავაკეთო“ — აცხადებს ოფიციალური სტრუქტურის ხელმძღვანელი.

ისტორიკოს გია ანჩაბაძეს მიაჩნია, რომ სახელმძღვანელოები პოლიტიკური საკითხია. ბავშვებზე როდესაც ვრცელდება ის ძალიან ცუდია. ბავშვები პოლიტიკისაგან თავისუფლები უნდა იყვნენ.

ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება მოახერხებს, საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს მიაწოდოს ყველასათვის ხელმისაწვდომი სიტყვა.

ზაზა ბილიხოძე

დედამიწის ზურგზე

ეგვიპტის სასამართლომ სამი გერმანელი მიიჩნია ბრალდებულად პირამიდების გაქურდვაში

გერმანელებსა და ექვს ეგვიპტელს მიუსაჯეს ხუთი წლის პატიმრობა ისტორიული ობიექტების მოპარვისთვის ხეოფსის პირამიდიდან. სასამართლო გიზში გაიმართა გერმანელი მოქალაქეების გარეშე, მათ ბრალი დასდეს ძველი გრაგნილების ფრაგმენტების მოპარვაში ხეოფსის პირამიდასთან, აგრეთვე იმ ქვების ნიმუშების მოპარვისთვის, რომლებისგანაც არის აგებული პირამიდა.

ობამამ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა ჰონკონგის საპროტესტო აქციებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა კი მოუწოდა, არ ჩაერიონ ამ საქმეში

„მე სრულიად ნათლად ვთქვი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვთ არანაირი დამოკიდებულება საპროტესტო აქციის ორგანიზაციაში, რომელიც ჰონკონგში გაიმართა“, — თქვა ობამამ პრეს-კონფერენციაზე პეკინში. სი ძინპინი დემონსტრანტების მოქმედებას უკანონოდ მიიჩნევს. ბრიტანეთის ყოფილმა მინისტრმა მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა პროტესტებისთვის ჰონკონგში დიდ ბრიტანეთს დააკისრა.

გაეროს უშიშროების საბჭომ გააგრძელა სამშვიდობო ოპერაცია ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, მიუხედავად რუსეთის უარისა

რუსეთი გახდა ერთადერთი ქვეყანა უშიშროების საბჭოს წევრებიდან, რომელმაც თავი შეიკავა კენჭისყრის დროს. ევროკავშირის სამხედრო ძალების ყოფნა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში კენჭისყრის შედეგად გააგძელეს კიდევ 12 თვით.

კანადამ დაბომბა ერაყში მყოფი „ისლამური სახელმწიფოს“ არტილერია

„ეს დაბომბვები უზრუნველყოფენ კანადის მტკიცე გადაწყვეტილებას ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლაში და მის მზადყოფნას მოკავშირეებთან ერთად იბრძოლოს ისლამური სახელმწიფოს მხეცური საქმიანობის წინააღმდეგ“, — განაცხადა კანადის თავდაცვის მინისტრმა რობერტ ნიკოლსონმა.

◎ ...ყველა თქვენი ნაკაწრიც გვტკივა!

აფხაზეთში ისტორიული კვალი იშლება!

11 ნოემბერს პარლამენტში, გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე, აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობაზე იმსჯელეს. როგორც დეპუტატები, სამეცნიერო წრეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები განმარტავენ, საკითხის გაფართოებულ ფორმატში განხილვა მისი აქტუალობით არის განპირობებული. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. როგორც ქართული მხარე განმარტავს, იქ მიმდინარეობს ქართული ისტორიული კვალის მიზანმიმართული წაშლა.

ილორი, ბედია, დრანდა, წმინდა სვიმონ კანანელის სახელობის ახალი ათონის ტაძარი, ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი — ეს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ის ეკლესია-მონასტრებია, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ე.წ. რესტავრაცია ჩაუტარდათ და რომლებმაც მთლიანად დაკარგეს პირვანდელი სახე. თუკი ძალიან მოკლედ შევეხებით კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების ამჟამინდელ მდგომარეობას, გეტყვით, რომ მეთერთმეტე საუკუნის ქართული ძეგლი, ილორის წმინდა გიორგი სახელობის ეკლესია, თეთრად გადაიღება, თავზე დაედგა რუსული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ბოლქვის ფორმის გუმბათი, სამრეკლოზე არსებული ქვის საფეხურები მოირღვა და რკინის კონსტრუქციით შეიცვალა; ბედიის მონასტერი, მე-10 საუკუნე — კედლის გამაგრების დროს ფრესკები ჩამოცვივდა; დრანდის ტაძარი, მე-6-მე-8 საუკუნეები — გადაიღება თეთრად, დამონტაჟდა თანამედროვე კარ-ფანჯარა; ახალი ათონის ტაძარი, მე-9-მე-10 საუკუნე - ტაძრის ირგვლივ მთლიანად მოიხსნა მიწის ფენა, რომლის შედეგებიც ქართული მხარისთვის უცნობია; ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, მე-10 საუკუნე, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ბრძანებულებით ტაძარს გასულ წელს ჩაუტარდა რესტავრაცია; ქართული მხარისთვის უცნობია ჩატარებული სამუშაოების შედეგები.



აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობა 11 ნოემბერს პარლამენტში გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე განიხილეს. საგარეო ურთიერთობათა, განათლებისა და კულტურის, ევროპასთან ინტეგრაციის, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე შეკრებილ დეპუტატებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ქართული ეკლესია-მონასტრების თაობაზე ინფორმაცია შერმადინ შარიამ, აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარემ გააცნო. მისი სიტყვებით, აღნიშნული ძეგლების განსაკუთრებული ფასეულობის გათვალისწინებით, მათზე განხორციელებული ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს ნამდვილი პროფესიონალი, ლიცენზირებული რესტავრატორების მიერ, დამტკიცებული სარესტავრაციო პროექტების საფუძველზე, რაც აქამდე არც ერთი ძეგლის რესტავრაციის შემთვევაში არ განხორციელებულა.

ამ ეტაპზე ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ გვაქვს, რადგან ამ მისიის წარგზავნა დაკავშირებულია მთელ რიგ კონკრეტულ დეტალებთან, მათ შორის, გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებთან. თუმცა, იუნესკოს მხრიდან ყოველთვის ხდება იმ პოზიციის დაფიქსირება, რომ ისინი გამოხატავენ მზადყოფნას მაქსიმალურად ითანამშრომლონ ჩვენთან...

„სარესტავრაციო სამუშაოები სრულად ეწინააღმდეგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპებს და ნორმატიულ აქტებს, მათ შორის, ვენეციის ქარტიის მეხუთე მუხლს, რომელიც გვამცნობს, რომ ძეგლების კონსერვაცია ხელს უწყობს მისი საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის გამოყენებასაც. ე.ი. გამოყენება დასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაამახინჯო, შეცვალო ნაგებობა და დეკორი. მთლიანად ეწინააღმდეგება ქარტიის მეექვსე მუხლს. ძეგლების კონსერვაცია ძეგლებთან დაკავშირებულ გარემოს გულისხმობს. თუ არსებობს ტრადიციული გარემო, ის უნდა შევინარჩუნოთ და ყოველგვარი ახალი მშენებლობა, დაშლა და გადაკეთება, რამაც შეიძლება დაამახინჯოს ძეგლის სახე, მოცულობა და ფერთა თანაფარდობა, აკრძალულია. ობიექტებზე ძალადობამ იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ ვშიშობთ, უახლოეს მომავალში გადასარჩენიც არაფერი დაგვრჩება“, — ამბობს შერმადინ შარია.

ამ ფონზე, საკანონმდებლო ორგანოში შეკრებილი საზოგადოება სიტუაციის გასაკონტროლებლად, პირველ რიგში, საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობას ხედავს. ამაზე საუბრობს ქეთევან კანდელაკიც, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის მდივანი საგარეო საქმეთა სამინისტროში. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1997 წლის ივნისში, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მოთხოვნით, აფხაზეთში იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა. იუნესკოს მაშინდელი მისიის ანგარიში წიგნადაც გამოიცა, სახელწოდებით „ქართული ისტორიულ-კულტურული ფასეულობები აფხაზეთში“. ქეთევან კანდელაკის თქმით, უკვე წლებია, ქართული მხარე აწარმოებს მოლაპარაკებას იუნესკოსთან აფხაზეთში საერთაშორისო მისიის მივლინების მიმართულებით, თუმცა, ამ ეტაპზე არსებობს არაერთი შემაფერხებელი ფაქტორი მისიის შექმნასთან დაკავშირებით.

„ამ ეტაპზე ჯერჯერობით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ გვაქვს, რადგან ამ მისიის წარგზავნა დაკავშირებულია მთელ რიგ კონკრეტულ დეტალებთან, მათ შორის, გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებთან და სხვა კონკრეტულ დეტალებთან. თუმცა, იუნესკოს მხრიდან ყოველთვის ხდება იმ პოზიციის დაფიქსირება, რომ ისინი გამოხატავენ მზადყოფნას, მაქსიმალურად ითანამშრომლონ ჩვენთან. და ეს არის სამუშაო პროცესი, რომელზეც ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას“, — ამბობს ქეთევან კანდელაკი.

აუცილებელია მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციებით და მისიებით დაფიქსირება იმ არსებული მდგომარეობისა, თუ რა მოხდა ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ რომელ ძეგლს რა ზიანი მიადგა. ჩვენს არქივებში დაცულია თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ძეგლის ანაზომები, ნახაზები, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ ძეგლებს თავისი პირვანდელი სახე დაუბრუნდეს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ძეგლების მნიშვნელობა არის ძალიან დიდი, უნდა ვიმუშაოთ სწორედ იმ კუთხით, რომ მათ დაბრუნებული ჰქონდეთ თავიანთი პირვანდელი სახე“, — ამბობს პაატა გაფრინდაშვილი.

ჩვენს არქივებში დაცულია თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ძეგლის ანაზომები, ნახაზები, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ ძეგლებს თავისი პირვანდელი სახე დაუბრუნდეს.

„ეს არის ქართველების სამკვიდრო და ეს არის აფხაზების სამკვიდრო“, — ამბობს ბელა კოპალიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე. ამიტომ ფიქრობს, რომ ის კულტურული მემკვიდრეობა, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზეა შემორჩენილი, აფხაზებისა და ქართველების დასაცავია. ის გამოდის ინიციატივით, რომ შეიქმნას ქართულ-აფხაზური სადამკვირვებლო ჯგუფი, რათა ქართულმა მხარემ აფხაზებთან ერთად შეძლოს იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა.

ნინო თარხნიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად:

1. აგრონომიულ დარგში;

2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების დარგში;

3. აგროსაინჟინრო დარგში;

4. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის და გადამუშავების დარგში;

4. ეკონომიკის დარგში.

აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდებას ანიჭებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია საქართველოს სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა და მათ დაქვემდებარებულ სამეცნიერო-კვლევით ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს, თვალსაჩინო მოღვაწეებს, აგრარული დარგის პრაქტიკოს მუშაკებს და ცალკეულ პირებს თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომისათვის;

პრემიის მინიჭება ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ.

აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში, სხვა დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ. წოდების მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს წინა ხუთ წელიწადში გამოცემული შრომები, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

წოდების მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიურ ნაშრომებში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდება მიენიჭებათ ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია ან აკადემიის საკონკურსო-საექსპერტო კომისია.

წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

საკონკურსოდ შემოსული ნაშრომის მეცნიერული შეფასების შემდგომ საკონკურსო-საექსპერტო კომისია, რომელიც ყოველი წოდების მისანიჭებლად იქმნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებებთან, წოდების მისანიჭებლად რეკომენდაციას უწევს მხოლოდ ერთ კანდიდატს, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების მოსაპოვებლად არ მიიღება.

აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საერთო კრებაზე დაჯილდოებული შრომის ავტორს ან ავტორთა ჯგუფს გადაეცემათ დიპლომი და ფულადი პრემია;

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც წოდების მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში უნდა წარმოადგინონ საკონკურსო შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ შეფასებას და განმარტებას მეცნიერებისა და ქვეყნის აგრარული დარგის განვითარებისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორთა შესახებ (ავტობიოგრაფია, სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ — CV, სამუშაო ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

მასალები წოდების მოსაპოვებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთ თვეში დღიდან პრესაში განცხადების გამოქვეყნებისა შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №51. ოთახი 212. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2-94-13-21.

◎ გიჟი ეკრანზე

ჟორდანიასა და ახალკაცის საშობლოში, ვაგლახ, ვის აყეფებენ?!

რამდენიმე დღის წინათ თემურ ქეცბაია ახალ ამპლუაში წარსდგა ჩვენი საზოგადოების წინაშე. თუ მისსავე სიტყვებს გავითვალისწინებთ, საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუ „არენას“ ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ადევნებს თვალ-ყურსო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცმა სამშობლოს საზღვრებს გარეთაც გამოიჭენა თავი.

სამწუხაროა, რომ ამჯერად საუბარი გვიწევს არა თავისი თაობის გამორჩეულ ფეხბურთელზე, არამედ უთავმოყვარეო მწვრთნელზე და, რაც კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, ჩამოყალიბებულ ხულიგანზე.

სპორტსმენობა თავისთავად ემოციათა მოზღვავებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ, როცა კარიერის დასრულების შემდეგ საყვარელ სახეობაში რჩები და შეგირდთა აღზრდით ხდები დაკავებული, გარკვეული დოზით პედაგოგიც უნდა იყო, ფსიქოლოგიც და ასე შემდეგ. გეკითხებით — აკმაყოფილებს კი რომელიმე დასახელებულ კრიტერიუმს „ქეცბა“?

ჰოდა, ნულარავისთვის დარჩება გამოცანად ჩვენი თანამემამულის „ოლიმპიაკოსიდან“ უპრაგონოდ გამობუნძულების მიზეზი, სადაც იგი, კულუარული ინფორმაციით, ერთ-ერთ მოთამაშეს ხელით შეეხო.

სხვათა შორის, „ჯვაროსანთა“ ერთ ნაწილთან (გოგუა, სირაძე, ამისულაშვილი) გახმაურებული კონფლიქტებიც ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა ზემოთ დასმულ კითხვაზე, რამაც, საბოლოო ჯამში, ისევ საქართველოს ნაკრები დააზარალა. გამოდის ამის შემდეგ შიზოფრენიკი დამრიგებელი და პროფესიონალ ფეხბურთელთა დეფიციტით ამართლებს საკუთარ კრახს. კი მაგრამ, ვინც ჰყავდა, რა იღონა ჯერ იმათ შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ შემოსარიგებლად და გუნდში დასაბრუნებლად? აფსუს, ჟორდანიასა და ახალკაცის სამშობლოში ვის აყეფებენ?!

გია პლატონიშვილი

◎ რაგბი

ქულები დაკარგა, მაგრამ ლიდერობა შეინარჩუნა

საქართველოს მორაგბეთა XXV ჩემპიონატის მე-8 ტურში გათამაშების ლიდერმა — ბოლნისის „ყოჩებმა“ „ბათუმს“ თბილისში უმასპინძლა. ქვემოქართლელებმა ლელო გაიტანეს, მაგრამ გარდასახვა ვერ გამოიყენეს და ორთაბრძოლაც ფრედ — 25:25 დამთავრდა. ზავის მიუხედავად, „ყოჩებმა“ ლიდერობა შეინარჩუნა.

მა პირველივე წუთებიდან შეუტიეს სტუმრებს და ლელოს გატანის რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან, სამაგიეროდ, ზღვისპირელებმა იყოჩაღეს და კვერნაძემ ანგარიში გახსნა — 5:0 (გარდასახვა ვერ გამოიყენეს). 22-ე წუთისთვის ბათუმელებმა კიდევ ერთხელ გამოიჩინეს თავი —- აზალაძემ ლელო გაიტანა, კობახიძემ ზუსტად გარდასახა — 12:0. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა.

მარცხის საფრთხე რომ იგრძნო, „ყოჩებმა“ შესვენების შემდეგ იერიშები გააძლიერა და 56-ე წუთზე დაწინაურდა კიდეც — 13:12. ამის შემდეგ მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. 79-ე წუთზე ზღვისპირელები ხუთი ქულით იყვნენ წინ. საფინალო სასტვენამდე **მე-8 ტურის დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა:** „აია“ (ქუთაისი) — „ხარები“ (რუსთავი) 15:6, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლელო სარასენსი“ (თბილისი) 9:13, „არმია“ (თბილისი) — „თიბიეს უნივერსიტეტი“ (თბილისი) 22:12, გადაიდო „ჯიქი“ (თბილისი) — „არმაზი“ (თბილისი).

სატურნირო მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ: „ყოჩები“ — 31 (+79), „ხარები“ — 24 (+52), „ლელო სარასენსი“ — 20 (+9), „არმია“ — 18 (-29), „ლოკომოტივი“ — 16 (+8), „ჯიქი“ — 15 (-18), „აია“ — 15 (-10), „არმაზი“ — 14 (+8), „ბათუმი“ — 12 (-19), „თიბიეს უნივერსიტეტი“ — 3 (-80) ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

შერმადინი „კანტუს“ დაუბრუნდა

გიორგი შერმადინის უგუნდობა დასრულდა. საქართველოს ნაკრების ცენტრს ტრავმის გამო ესპანურ „სარაგოსაში დაბრუნება ჩაეშალა, თუმცა, მასთან კონტრაქტის გაფორმება გიოს კიდევ ერთმა ყოფილმა კლუბმა „კანტუმ“ ისურვა.

ბოლო პერიოდში შერმადინი დასკვნით სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა და ისიც დაიწერა, რომ ტრავმა სრულად მოიშუშა. შესაბამისად, წესით არაგონელებთან წინასწარი შეთანხმება უნდა ამუშავებულიყო და მას კვლავ „სარაგოსას“ მაისური მოერგო, თუმცა...

გიორგი კანტუელთა ღირსებას 2011-12 წლებში იცავდა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა. იტალიის ჩემპიონატში მისი საშუალო მონაგარი 9 ქულა და 5 მოხსნა იყო, ევროლიგაში კი 16 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 10 ქულას და 5 მოხსნას აგროვებდა. იმ სეზონში „კანტუმ“ იტალიის თასის და სუპერთასის ფინალებშიც ითამაშა.

ცნობისთვის, სერია ა-ს მიმდინარე სეზონში კანტუელებს 3 მოგება და 2 მარცხი აქვთ და მე-5 ადგილზე იმყოფებიან. გარდა ამისა, იტალიური კლუბი ევროთასზეც ასპარეზობს, სადაც 4-ვე თამაში წაგებული აქვს და B ჯგუფში ბოლო პოზიციაზეა.

ევროპულ ასპარეზზე შერმადინის ახალი კლუბი მომდევნო მატჩს დღეს ბელგიური „ოსტენდეს“ წინააღმდეგ გამართავს, შინაურ პირველობაზე კი 16 ნოემბერს მილანში „ემპორიო არმანისთან“ ითამაშებს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ იტალიურ ჩემპიონატს დაუბრუნდა ქართული პასპორტის მქონე ამერიკელი ჯეიკობ პულენიც. მან გასული სეზონი ესპანურ „ბარსელონაში“ გაატარა, შემდეგ ჩინურ „ლიაონინგში“ ფეხის მოკიდება სცადა, ახლა კი „ენელ ბრინდიზიში“ ჩაირიცხა, რომელიც ასევე 3 მოგებით სწორედ „კანტუს“ უდგას კვალში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ანანდმა წონასწორობა აღადგინა

სოჭში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონობისთვის მატჩ-რევანში ამჟამინდელ მსოფლიოს ჩემპიონ მაგნუს კარლსენსა (ნორვეგია) და ვიცე-ჩემპიონ ვიშვანათან ანანდს (ინდოეთი) შორის. შეგახსენებთ, რომ სტარტზე მეტოქენი დაზავდნენ, უფრო სწორად, აზიელი მუდმივი ქიშით გადაურჩა წაგებას, სამაგიეროდ, მეორე პარტია თეთრებით ნორვეგიელმა მოიგო და დაწინაურდა.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ მესამე პარტია თეთრებით ანანდმა 34-ე სვლაზე მოიგო და წონასწორობა აღადგინა. საგულისხმოა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ინდოელმა „კლასიკურ“ ჭადრაკში პირველად აჯობა კარლსენს. ჩემპიონისა და ექს-ჩემპიონის დუელში სულ 12 პარტია გათამაშდება. ამ შეხვედრებში გამარჯვებული თუ ვერ გამოვლინდება, გვირგვინის მფლობელს ტაი-ბრეიკები დაასახელებს.

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

ჯერ ტურნირი, მერე ერთობლივი შეკრება

ტოკიო 5-7 დეკემბერს ძიგორო კანოს სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს ძიუდოში. იაპონიაში საასპარეზოდ საქართველოს ნაკრები 15 ნოემბერს გაფრინდება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ დაასახელა შეჯიბრებაზე წამსვლელთა ვინაობა. ამომავალი მზის ქვეყანაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ამირან პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (ორივე — 73), ბექა ღვინიაშვილი (90), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (+100), ამჟამად დავით ასუმბანის ხელმძღვანელობით იაპონიაში შეკრებაზე მყოფი ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) და ევროპის ასევე ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოს მეორე-მესამე პრიზიორი ვალერი ლიპარტელიანი (90).

როგორც ხედავთ, გუნდი გვარიანად შეთხელებულია. ეს ძირითადად უფულობას უკავშირდება. როგორც ირაკლი უზნაძე ამბობს, არიან ძიუდოისტები, რომლებსაც იაპონიაში საკუთარი სახსრებით გამგზავრება სურთ. მათი ვინაობა ამ დღეებში დაზუსტდება. ტურნირის შემდეგ საქართველოს ნაკრები მასპინძლებთან ერთობლივ შეკრებაზე დარჩება.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

თითები კლავიშებზე, მკერდი როიალზე...

ეს ბრაზილიელი ლამაზმანები იმდენს იზამენ, რომ ბოლოს ალბათ მთელ მსოფლიოს გადარევენ და ყველას თავიანთ ჭკუაზე გადაიყვანენ... ამჯერად არც ბრაზილიელ მოდელზე ვისუბრებთ და არც მსახიობზე. უნდა გიამბოთ ბრაზილიელი პიანისტის რიტა ტიბესის ამბავი.

როგორც გითხარით, რიტა ტიბესი პიანისტია და როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, არც ისე ცუდი მუსიკოსი, მაგრამ კოლეგებისგან განსხვავებით თავის საქმეს მკაცრ კოსტუმში ყელმოღერებული კი არ ასრულებს, არამედ აზღუდისა და ბიკინის ამარა და სწორედ ეს გახდა მისი ცნობადობის მიზეზი.

რიტა უკვე წლებია ბრაზილიური ფეხბურთის ბოსებთან თანამშრომლობს და არაერთი ბრაზილიური კლუბის კორპორატიული საღამოც გაულამაზებია თავისი სილამაზითა და მუსიკალური ჰანგებით. აბა ვის არ მოეწონება, ასეთი ლამაზი ქალი თითებს კლავიშებზე რომ დააწყობს და მკერდს როიალზე...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სათრეველა 15 ნოემბერს გადასათრევზე

ძირს ნაცები და მათი აქცია!



იმედს წყალი ვინც გადააქცია,
ვინც ლტოლვილებად გადაგვაქცია
„ცოცხზე“ შემჯდარი გახლავთ მაქცია,
ღმერთო გვიშველე, ჭირს აგვაცილე:
ეშმაკის კერძი აწყობს აქციას!

შეგვეთამაშა განა ვარდებით,—
ეკალბარდებში გადაბარდნებით
და „ცოცხოსანთა“ განავარდებით.
ეიმედება, რომ ჩავბარდებით
და მოგვისია თავის ბანდები.

ვინც საქართველო საკნად აქცია
და „ერის“ ნაცვლად გვიხმობს „ნაციად“,
ის არც ხვამლი, არც არაგაცია,
მხოლოდ უზნეო არაკაცია
და ამიტომაც ბედავს აქციას!

არა, ამჯერად არ დააცლიან,
მისგან ნატანჯ ხალხს მსჯავრი მკაცრი აქვს,
ცხვირს მოუგრეხენ, ღდინს გააცლიან,
თუ კვლავ გაბედავს პროვოკაციას
მკვლელთა აქცია!

ალექსანდრე შენგელია.
ქუთაისი.

◎ ესეც უნდა ვიცოდეთ!

რა ღირს სიკვდილი საქართველოში?

VIP და ეკონომკლასის სერვისები და დაკრძალვა განვადებით

რა ღირს სიკვდილი საქართველოში? იმ შემთხვევაში, თუ ჭირისუფალს სასაფლაოს შერჩევისთვის ზრუნვა არ სჭირდება, დაკრძალვის ხარჯები მინიმუმ 600 ლარით, მაქსიმუმ კი მათი ფინანსური შესაძლებლობებით განისაზღვრება. სასახლე, მაცივარი, სარიტუალო ატრიბუტები, კატაფალკით მომსახურება და ა.შ. სარიტუალო დამკრძალავი ბიუროები მომხმარებლებს VIP და ეკონომკლასის მომსახურებას სთავაზობენ.

შპს „თბილბიუროს“ დირექტორი კოკა სართანია აცხადებს, რომ ბიუროში სხვადასხვა სახის მომსახურებაა შესაძლებელი. „ჩვენ მომსახურების ფართო სპექტრი გვაქვს. მიცვალებულის გაპატიოსნება, ბალზამირება, სასახლე-მაცივარი, სასახლე, სარიტუალო ატრიბუტიკა (ტახტი, სუდარა, ბალიში, შანდალი, ყვავილების კალათა, საფლავის ჯვარი), სურათის დამზადება, სახლის-/ეკლესიის გაფორმება ყვავილებით, ბინის დასუფთავება და ავეჯის გადაადგილება, მგალობელთა მოწვევა, დახმარება და კონსულტაცია სასაფლაოს მოძიებაში, ეკლესიის მოძიება, მოლაპარაკება და დასვენების ორგანიზება, კატაფალკით მომსახურება, დასაფლავების დღეს ჭირისუფალთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. მოთხოვნიდან გამომდინარე მოდის ჭირისუფალი, რომელიც ითხოვს იაფფასიან სასახლეებს. მოდის ჭირისუფალი, რომელიც ფასზე ორიენტირებას არ აკეთებს, მთავარია, ნახა და მოეწონა. არის ყველა კატეგორიის მოთხოვნა, დაწყებული ეკონომკლასიდან დამთავრებული ვიპკლასით“, — აცხადებს კოკა სართანია.

მისი თქმით, ჩასასვენებლების ფასები 160 ლარიდან იწყება და შესაძლოა, 3-4-5 ათასზე და უფრო მეტზე ავიდეს. „160-ლარიანი წიფლის მასალაა, უფრო მაღალფასიანი, სხვადასხვა ძვირიანი მასალისგან მზადდება, დიზაინი, დამუშავება სხვანაირია და იმიტომ იზრდება მისი ფასი“, — აღნიშნა სართანიამ.

გარდა ჩასასვენებლებისა, საჭიროა სუდარა, ყველაზე იაფფასიანი კი 25 ლარი ღირს. მიცვალებულის დასასვენებელ ტახტს 30 ლარად იქირავებთ. გარდაცვლილის ბალზამირება, ჩაცმა, მოწესრიგება დაახლოებით 150 ლარია. თუ გარდაცვლილი ქალია, ხარჯი იზრდება — თმის დავარცხნისა და მაკიაჟის ფასი 80 ლარიდან იწყება და 150 ლარამდე ადის. კომფორტი ტრანსპორტირებისასაც საჭიროა — ფასი მომსახურების შესაბამისად იზრდება. ღირებულება მანქანის მარკასა და კილომეტრაჟზეა დამოკიდებული. კატაფალკის დაქირავების საფასური 80-დან 220 ლარამდე მერყეობს. ავტობუსის ფასი კი 120 ლარიდან იწყება.

რაც შეეხება სასაფლაოებს, თბილისში 60-მდე სასაფლაოა, აქედან 31 „ჰერმესის“ მმართველობის ქვეშ არის. ადგილი საფლავისთვის — ფასები აქაც განსხვავებულია. საფლავები ზონების მიხედვითაა დაყოფილი. ე.წ I, II, მესამე და მეოთხე ზონა ფასიანია, V უფასო. თბილისის მთავრობის მიერ დაწესებული ტარიფების შესაბამისად, ერთადგილიანი საფლავი პრესტიჟულ უბნებში, მაქსიმუმ 2 ათასი, გარეუბანში კი - 50 ლარი ღირს.

„ფასები განსხვავებულია რაიონების მიხედვით. საბურთალოზე, რომელიც ყველაზე ძვირი სასაფლაოა, ერთადგილიანი ზონის ფასი ორი ათასი ლარია, ექვსადგილიანის — 6800, დიფერენცირებული. მუხათგვერდის სასაფლაოზე ერთადგილიანის ფასი — 200 ლარი, ხოლო 6-ადგილიანის — 3200 ლარია. ასევე ჩვენ გვაქვს უფასო ზონა“, — აცხადებს „ჰერმესის“ დირექტორი მიხეილ ძაგანია.

რაც შეეხება ე.წ. უფასო ზონას, აქ მხოლოდ ერთ და ორადგილიანი საფლავებია უფასო. გარდა ამისა, ემატება 230 ლარი საფლავის გაჭრის ღირებულებაც. ამასთან, არსებობს კერძო სასაფლაოებიც, სადაც საუბარი ფასებთან დაკავშირებით არ ისურვეს. იქ მისულებს განგვიცხადეს, რომ კერძო საკუთრებაა და საუბარი არ სურთ. ყველაფერთან ერთად, თუ არც 600 ლარი აქვს ჭირისუფალს, არც სასაფლაო, დამკრძალავ ბიუროში, „თბილბიუროო“ სრული დამკრძალავი სერვისით სარგებლობა 0%-იანი განვადებით შეუძლია. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა გვითხრა, აღნიშნული სერვისი სულ ორი კვირაა რაც დაინერგა და უკვე ერთმა ადამიანმა ისარგებლა.

თეა ბითაძე

დეიდა თინა შელია-მაზმანიშვილი, დეიდაშვილები მარიზა, რუსუდან მაზმანიშვილები, დეიდაშვილიშვილები დათო, გოგი ხეჩინაშვილები, დუდანა, გიორგი მაზმანიშვილები, მარიკა კალანდაძე, რძლები მონიკა ამბრიშვსკა, ბაია ქავთარაია, სიძე ვალიმირ კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი ადამიანი

კობა გულუა

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, ვაჟა აბაკელია, ნუგზარ ნადარაია, ვალერი ჭანტურია სამძიმარს უცხადებენ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ, აპოლონ, სოსო გადელიები, პეტრე ბერაია, თენგიზ კალანდაძე თანაუგრძნობენ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო.

გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, დემიკო ლოლაძე, ალეკო კაკულია, ანზორ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, ჯამბულ წულაია, ზურაბ გოგოხია, ჯემალ კვირტია, ნუგზარ იზორია, კახა არდია, ნოდარ შარტავა თანაუგრძნობენ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო.

იური ოსიპოვი, არჩილ გოგელია, როლანდ გილიგაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გია მახარაძე, გოდერძი ბუკია, ზურაბ ერქვანია, ბიძინა სონღულაშვილი, თემურ კვარაცხელია, დაზმირ კუჭავა, გურამ ახალაია ოჯახებით, თემურ ხარებავას ოჯახი, ნანა, მანანა კეკელიძეები, მარინა მიქაძე თანაუგრძნობენ ბაკურ და დავით გულუებს ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

უახლოესი მეგობრები ვლადიმერ (ვალოდია) ლომთაძე, სოსო კუხიანიძე, ავთანდილ რამიშვილი გულწრფელად თანავუგრძნობთ ბატონ რეზო ჭკუასელს ძვირფასი მეუღლის

ნათელა ჟღენტი-ჭკუასელის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ინფორმაცია

ელდარ შენგელაიამ ეროვნულ არქივს ფილმების ფირები გადასცა

ეროვნული არქივის ინფორმაციით, „სამანიშვილი დედინაცვალი (1977)“, „შერეკილები (1973)“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი (1983)“, „ექსპრეს ინფორმაცია (1993)“, „არაჩვეულებრივი გამოფენა (1968)“, „ელისო (1928/1965)“ და დოკუმენტური ფილმი „ნატო ვაჩნაძე (1948)“ საქართველოს ეროვნულ არქივში შეინახება.

ფილმების კინოფირები 250 შესანახ ერთეულს მოიცავს. მათი დამუშავება კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში უკვე დაიწყო.

დაგეგმილია ფირების გაწმენდა, ტექნიკური ექსპერტიზა, დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა, კოლოფებისა და ეტიკეტების შეცვლა. ამის შემდეგ ფირები აღიწერება, დამუშავდება საარქივო წესით და დამზადდება კინოფილმების მაღალი გარჩევადობის ელექტრონული ასლები.

◎ დედაქალაქი

„გთხოვთ, დამეხმაროთ!“

რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, ყოფილი საბაგირო გზის ქვედა სადგურის კიბეებზე, თბილისელთათვის და ქალაქის სტუმართათვის კარგად ცნობილი მხატვრების, ხალხური რეწვის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა კარგა ხანია, დიდი პოპულარობით სარგებლობს.

შემოქმედთა ათასნაირ ნახელავს — სხვადასხვა კუთხის ქეჩის თუ ნაქარგ ქუდებს, მძივებს, საყურეებს, სამაჯურებს, ჯვრებს, კრიალოსნებს, თაბაშირის მცირე და საშუალო ზომის ქალაქურ ხედებს, მიკიტნებს, ყარაჩოღელებს, ზეთისა თუ ფანქრის ნახატებს, მოკლედ, დედაქალაქის სულისკვეთებით გაჟღენთილ ნამუშევრებს ხალხი წლების მანძილზე ხალისით ყიდულობს.

ბუნებრივია, ამ შემოქმედებით სიჭრელეში ხშირად ისეთებიც გამოერევა ხოლმე, რომლებიც თავისი უჩვეულობით მნახველის თვალსა და ყურადღებას უმალ იტაცებენ. ცოტა ხნის წინათ ჩვენი ყურადღება ერთმა ნახატმა მიიპყრო, რომელზეც მხატვარს, როგორც ჩანს, მარტო საკუთარი გასაჭირი კი არ „გაუფორმებია“ შემოქმედებითად, არამედ ხალხის უმეტესი ნაწილის სიდუხჭირეც გამოუხატავს: დაახლოებით მეტრის სიმაღლის ზეთით დახატულ ტილოზე სათვალიანი ასაკოვანი კაცია გამოსახული, რომელსაც წინ დადგმულ ჯამში რამდენიმე მონეტა უყრია, ხელში კი მორიდებული აბრა უჭირავს, რომელსაც „გთხოვთ, დამეხმაროთ“ აწერია.

გულის ამაჩუყებელია ეს ნახატი, მერწმუნეთ! ახლა საქმე ისაა, ვინ შეიძენს მას და სად გამოფენს — მდიდრულად მორთულ სასტუმრო ოთახში თუ რომელიმე „ობლების“ სასადილოსთან?

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ სულიერება

წმინდანი ათნი ბერნი (100 000) მოწამენი, თბილისის ხვარაზმელთაგან წამებულნი

13 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს 100 000 მოწამეთა ხსენებას.

...საქართველოს (ქრისტიანობის) კეთილმსახური მეფის, წმინდანის, საქართველოში მენელსაცხებლე დედათა სწორის, ივერიის მნათობის — თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დადგა.

1225 წელს ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი თბილისისკენ გამოემართა... ეს იყო უსაშინლესი სისხლიანი დღე ქართლის ცხოვრებაში. თბილისის ქუჩები და მდინარე მტკვარი გვამებით აივსო, სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი, ბორცვებად ეყარნენ დახოცილები.

ხვარაზმის სულთანმა სიონიდან მაცხოვრის და მარიამ ღვთისმშობლის ხატები გამოასვენებინა, მტკვარზე გადებულ ხიდზე დასვენებინა და უბრძანა თბილისელებს „დათრგუნვა ხატთა“ და „დატევება სჯულისა“, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა „წარკვეთა თავთა ელოდა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...100 000 ადამიანი ერთ დღეს ქრისტიანობისთვის წამებული, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა! ამ დღეს 100 000 მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღესრულების“ ჩვენს სამშობლოში...

ყოველი წლის ამ დღეს ქრისტიანები მეტეხის ხიდთან იკრიბებიან, იკითხება სპეციალური ლოცვები, მტკვარში იყრება ათასგვარი ყვავილისგან შეკრული გვირგვინები, ინთება სანთლები მათ საოხად.

გიული ლიპარტია

ქართველების ჯვარცმისა და ამაღლების დღე

„და იწყო მთიებმან აღმოჭირვებად და, მე კი ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის თქმად...“
მემატიანე

იდგა სთუელი ათას ორას ოცდაშვიდისა,
ხვარაზმელები შემოეწყვნენ ირგვლივ თბილისსა,
სიონის ხატებს ჯავრი ცრემლის ჯარად ედინა,
სისხლი სწყუროდა ქართველების ჯალალ-ედ-დინსა!..

თალხი ღრუბლები გარს უვლიდნენ მჭმუნვარე მზესა,
მტკვარი ბორგავდა, თავს ახლიდა მეტეხის კლდესა...

მორეკეს ხალხი და დააგზნეს ცოდვის ხვატები,
ხიდზე დაუწყეს ღვთისმშობლის და ქრისტეს ხატები, -
დააბიჯეთო! — უბრძანებდნენ სარკინოზები
და მოლოდინის შიშით თრთოდნენ ანგელოზები!..

ზეცამ მოისხა გლოვისფერი ღრუბლების ნისლი,
მტკვარი შედედდა ასი ათას მოწამის სისხლით!

... გარდამოვიდა ზეგარდმოით დაუჭნობელი,
ასი ათასი მოელვარე ნათლის გვირგვინი!!!

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

◎ ტესტი

გაწუხებთ ფანატიზმი?

ბრძენ ადამიანებს უთქვამთ: მთავარი ცხოვრებაში — ესაა წონასწორობაო.მაგრამ მისი მიღწევა ყველას როდი შეუძლია.ტესტი გაძლევთ საშუალებას, გაიგოთ, თუ გაქვთ იმის განწყობილება, რომ გაგიტაცოთ რაიმემ უკიდურესად.

1. შეგიძლიათ, უარი თქვათ უქმე დღეებზე მუშაობის გულისთვის?
ა) საკუთარი ინიციატივით — არა.
ბ) სავსებით შესაძლებელია.
გ) ასეთი რამ ხდებოდა, და არაერთხელ.

2. მზად ხართ, მიატოვოთ ყველა საქმე, რომ არ გამოტოვოთ საყვარელი სერიალის მორიგი სერია?
ა) ხდება ხოლმე, რომ ასეც ვიქცევი.
ბ) შეიძლება, თუ საქმე ძალიან გადაუდებელი არაა.
გ) არა, ეს ჩემი საქმე არაა.

3. გიყვართ დავა?
ა) უკიდურეს შემთხვევაში, საერთოდ კი არა.
ბ)ზოგჯერ, თუ დავას პრინციპული ხასიათი აქვს ან ძალიან დამაინტერესა მისმა თემამ.
გ) დიახ, ამისთვის სერიოზული მიზეზიც რომ არ მქონია.

4. თუ ხართ სპორტის გულშემატკივარი?
ა) დიახ.
ბ)სპორტი მიყვარს, თუმცა, გულშემატკივრად თავი არ მიმაჩნია.
გ) სპორტი არ მაინტერესებს.

5. თუ აგროვებთ მარკებს, ასანთის კოლოფებს, მონეტებს, ლუდის ქილებს ან სხვა ამგვარ რაიმეს?
ა) დიახ, ეს ძალიან საინტერესოა.

ბ)ადრე ვაგროვებდი,მაგრამ ახლა არა.
გ) არა, ეს არასოდეს გამიკეთებია.

6. თანახმა ხართ, ნებისმიერ ფასად იყიდოთ ბილეთი საყვარელი არტისტის კონცერტზე?
ა) პრინციპულად კი.
ბ) მხოლოდ მაშინ, თუ ამისთვის იქნება არსებითი საბაბი, მაგალითად, ერთადერთი კონცერტი ქალაქში.
გ) არა.

7. ამ გამოთქმებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე მახლობელი:
ა) ზედმეტი ვნებაც, მისი სრულიად არარსებობაც — ორთავე ერთნაირად ცუდია.
ბ)ყოველგვარი ვნება, ბოლოს და ბოლოს, თავად შენს წინააღმდეგაა.
გ) არაფერი დიდი რამ არ კეთდება ამ ქვეყანაზე ვნების გარეშე.

8. ხშირად გიწევთ, რომ წახვიდეთ იმპულსურ ქცევებზე?
ა) პრაქტიკულად, არასოდეს.
ბ) იშვიათად.
გ) ხშირად.

9. მონაწილეობთ აზარტულ თამაშებში?
ა) დიახ, ხდება ხოლმე.
ბ) იშვიათად, ინტერესის გულისთვის.
გ) პრაქტიკულად არა.

10. როგორ უყურებთ რისკს?
ა) მიმაჩნია, რომ ზოგჯერ ეს აუცილებელია.
ბ) ვცდილობ, ავუარო მას გვერდი.
გ) რისკი — კეთილშობილური საქმეა.

11. თუ აგროვებთ გაზეთების ამონაჭრებს ცნობილი ადამიანების შესახებ?
ა) წარსულში ასეთ რაღაცეებს ვაკეთებდი.
ბ) დიახ.
გ) არასოდეს შემიგროვებია.

შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ა	1	3	1	3	3	3	2	1	3	2	2
ბ	2	2	2	2	2	2	1	2	2	1	3
გ	3	1	3	1	1	1	3	3	1	3	1

11-17 ქულა. დაემორჩილეთ რაიმე იდეას იმდენად, რომ ყველაფერი დაივიწყო ქვეყანაზე, არა გგგონია, რომ თქვენ ეს გემუქრებოდეთ. თქვენ იცით: რომ გამოაფხიზლოთ თავი და გაამრავალფეროვნოთ თქვენი ცხოვრება, სასარგებლოა, რაღაცით გაერთო. მაგრამ ამასთან ერთად თქვენ ცდილობთ, დაიცვათ ზომიერების გრძნობა და, საერთოდაც, უკიდურესობისკენ მისწრაფება არ გაქვთ.

18-25 ქულა. თქვენ გაქვთ უნარი, რომ რაღაცამ გაგიტაცოთ და შეგიძლიათ, გააკონტროლოთ საკუთარი თავი. რაც უფრო ჭკვიანია ადამიანი, მით ნაკლებად ემორჩილება იგი ვნებებს, მიაჩნდათ ძველად. ყოველთვის რომ იყო ოქროს შუალედში, ნუ აჰყვებით ემოციებს. ცდილობთ, აღიქვათ ცხოვრება ნაკლებად სერიოზულად, საკუთარი ცხოვრება კი — თვითირონიულად, ვინაიდან დაცინვა ისევე ანადგურებს ფანატიზმს, როგორც წყალი აქრობს ცეცხლს.

26-33 ქულა. თქვენ, როგორც ჩანს, რწმენის ადამიანი ბრძანდებით. თავი რომ არ დაკარგოთ, ნებისმიერ შემთხვევაში კრიტიკულად შეაფასეთ თქვენი მოქმედებები, ისწავლეთ ზომიერება და გახსოვდეთ სიბრძნე: „შინაგანი თავისუფლების აღქმა — ფანატიზმის საიმედო საპირისპირო მოქმედებაა“.

რეკლამა
299-62-77;
599 82-09-84.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ბავშვობის მეგობრები შაქრო და ზაქრო ჯარში ერთად მოხვდნენ. ერთხელაც ნაწილის ეზოს რომ ალაგებენ, შაქრო ეკითხება ზაქროს:
— გაიგე-ე, წუხელ ტელევიზორში თქვეს, დედამიწა მრგვალიაო!
— ჩუმად იყა, ჯო, ჩვენმა სვანმა ოცისთავმა არ გაგვიგოს, თორენა მოგვასწორებინებს, განა!

* * *

ავტობუსის გაჩერებაზე სექსუალური ქერათმიანი ქალიშვილი უცბად განზე მდგარ კაცს უწყებს ჩხუბს:

— შენ, ეი, ისე მიყურებ, თითქოს უკვე კაბას მხდი და ლოგინში ჩაწვენასაც მიპირებ!
— რასა ბრძანებთ, ქალიშვილიო, რასა ბრძანებთ! ჩემს გუნებაში თქვენ უკვე ჩაიცვით, მე კი აივანზე ვდგავარ, სიგარეტს ვაბოლებ და ვისკის გეახლებით!

* * *

რაჭველმა ზალიკუნამ ორშაბათიდან მუცლის პრესის ვარჯიშის დაწყება გადაწყვიტა.
ადგა დილის 5 საათზე. დაწვა იატაკზე.
რომ გაიღვიძა, 11 საათი იყო.

* * *

ორი ქერათმიანი ლამაზმანი საუბრობს:
— ადრე მეგონა, რა საშინელებაა, როცა ეს ოხერი „კრიტიკული დღეები“ მოდის. არადა, ნამდვილი საშინელება ის ყოფილა, როცა ეს კრიტიკული დღეები აღარ მოდის...

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24